423/09
1860
N° 4-5-6

# ცისკარი

1860

აპრილი.

წელიწადი მეოთხე.

## Ⴐუდება თხზულებათა:


I. — შამი ფარვანიანი. . . . მეფის თეიმურაზისა.
II. — ღარიბი ყმაწვილი კაცის რომანი. ზაქარ ქართლელისა.
III. — ლექსები ახლანდელის მწერლებისა.
IV. — ქართუშლი ქალები. . . . დიმ. ბაქრაძისა.
V. სხუა და სხუა ამბავი, (ნახე მეორე გვერდზედ).



ტფილისს.

ვერესელიძის ტიპოგრაფიაში.

899.962.1
ß-68

# შამი ფარვანიანი.

## (მეფის თეიმურაზისაგან თქმული.)

(განგრძელება)

1178

ფარვანა ეტყვის: სანთელო, მანათობელო ღამისა,
შენისა სიყვარულითა, სული ამოსვლის ღამისა,
შუქმან ეშხმან და სურვილმან, მე გული შემიღამისა,
ნუმცა მექნების უშენოდ სიცოცხლე ერთის წამისა.
ამან შემმალა, ვერ ვსძლავ ქუწყენათა შენსა დარისა;
ზოგი რამ მზესა მიგიგავს, იგ ზოგი რამე მთოვარესა,
შენმან სხივმან და ციმციმმან, ჭირსა დამაბა მწარესა,
თავსა გევლები ნუ მომკლავ, მე შენსა მემუდა=რესა.
კურთხეულც არის რომელმან ეგრე დაგბადა შენათო,

საქართ... ...ლის
...სეჯარო ბიბლიო...

ბრწყინვალე გამკამკებით შუქამკრთ დაგამშვენათ,
მეფეთფის მეღამ ლახვარი, უწყალოდ გულსა მკვნით.
სულისა ამოსასვლელად, მიმქრის ბაგრი ქმნით.
სხვას ვერას ვხედავ საწყალი, იგ თუ არ შენსა
მკერდსა,
პირი და ენა დადუმდა, ყველასა შენსა ყურებსა,
ხმა ტკბა დამეწყვიტა, ნეტარ რა გასაგებსა,
ფერისა მე მოაწყვამ ალითა, გული როდ ჩამესვამ
მკერდსა.
რა შენ ბრწყინვალედ აგნით, მე დასაწყვავად
მისა ვარდა,
მე შენთვის დაბადებულვარ, სხვა არა გული რა ვარდა,
ჩემის სიცოცხლის მიზეზნა, საიქოს იქით ჩავარდა,
შენ ცოცხლენი და მე ცელი, ეს ყოველს ქვეყ-
ნანს ვავარდა.
ზმანება ლხენისა ეს არის, ამ ნიჭზედ დავიბადე,
შენი ტკბილ ვიყავ საწყალი, შენი შენთვის ბადე,
არც წყალი მასსი საწყალსა არცა წამალი მადე,
მოინდომე, და მომკვდარვარ, შენ ასე მოიწადე.
სანთელმან გაჭვრა ასუსი, მლოცველს ალერსს
ვიასად,
მე შენი რაც გავიგონე, არც ერთი მესმა შენსავით,
ლხენისაგან დაბადებული, მე რომ ვნათობდე შენსა-
ნად,

რაცრუის და რისთჳს მოგჳყვები, დავიწყ დანაც-
ცრიანად.
ფარვანას ესმა პასუხი, მან მზისა და დამწველისა,
ეგ მორის განაშორავი, არცთუ შეწყობა ზავისა,
იქუა, თუ გავჳხსნდეგებე უმჯობდ, ვინა მოურს ვის
რა ვავ ისა,
არცა ვარ ცნობის უფალი, არც ჴელით მქონელი
თავისა.
გული, ცნობა და გონება, წამართუ ჩემი მზეროდა,
შენ გაქჳს საკუთრად ჩემთანა, არც ბეწჳ მოიძღოდა,
ჩემი სისხლი და სიკუდილი, სულ შენა დაეგ-
ზღვევდა,
როგორღაცასარ, მე შენი ქება აწ დავიწყეოდა.
მზისაგან უბრწყინვალესა, ეგ შენი გამკამყენანი,
ქჳწმეთ თეთრი და ზედ წითლად ალის მცხინვა-
რებანი,
ვინცა იქუას შენი მექიდა ანუ მეტწნების ქებანი,
გულსა და თვალსა ახარებს, შენიკე წინა ნაებანი.
ოქროზე ვინმე აგანიებს, ჩამოსხსმეულისარ
ველანდო,
დასჩავრე მწყობრუვლიებით, ვის მყენის შენის თანადოდ,
გვრცხლის უფროურუსისარ, შენთან არს გასაბანადო,
ის სისხლი სისლად არ ვარგა, უმჯობდ სანი ბანადო.

მთვარე რაზომცა ნათობდეს, გავსილი ბნელსა ღამესა,
მისის შუქითა უმზეოდ, ვახშამი ვერვინ ჰსჭამესა,
უმზეოდ ლხინი, მეჯლისი, ვერავინ შეიგემესა,
ეგზომმა უჳბრობამან, ველის მცენა შეიწვამესა.
აწ რავქნა ქალმან საწყალმან, სიკუდილი მომეწყურათ,
თუალთაგან ცრემლად სისხლი მდის, ერთს წამს არ მომეწყურათ,
შენ მეწყალება არა გაქვს, არ ვიცი რავქნა თუ რათ,
ერთ ლუკმად არვის ვეყოფი, მგელი შემჭამს თუ ცურათ.
რისთჳს პასუხს არ მიბძანებ, თუალთა სარჩენო სულადა,
გდრემდის სრულად არ მომკლავ, ნუ ემჭობ დამასულადა,
თავიდგან ჩემო დამწყუწლო, აწ ჩემი ალსასრულადა,
რა ეწადის, რას ფოვნი, რასა მრჯი, შენ სულო ამოსულადა.
სანთელმან უთხრა პასუხი, ბრძენი არ ცუდი უბედობით,
მე ღმერთმან შემქმნა სამადლოდ, შენ საით მომსვდი ბედობით,
საცთან ჯ ჳვარითან წინავარ, სულის სამედობით,

შენ რომ შემცდრობით დაიწვა, სისხლი რად ჩემსა ქედობით.
ფარვანას ესმა ატირდა, მეტის მეტითა წყენითა,
ღონე მოეშო სამყაროსა, მწარი დაუწყო ფრენითა,
გულადგა დაუწყო ქება და სიყვარულსა ცრემლისა დენითა,
ჭირსა ჭიქამს, თავსა ფერებს, მას გარემო ფრენითა.
ნუ მკლავ უბრალოდ, ნუ გინდა ჩემი ცოდუა და ბრალები,
სხვას შენთვის მკვდარი ვის უნდა, შენ არა მყეე-ბრალები,
შენის სიტურფით, ვერ არის ვერც ბროლი, ვერცა ლალები,
ავავსებ ჩემის ცოდვითა, სიკუდილსა არ ვეკრმალები.
სხვა არვინ ვარგა უშენოდ, მე როგორ ვიყო ქმნილიდა,
ლხინი, ჭირი და სმა ჭამა უშენოდ ყველა ბნელიდა,
ერთა ჭამა და ქორწილი, მასპინძელ საწყეველიდა,
ტურფა პეპლუცთა ყრილობა, მიჯნურთა სული დაწველიდა.
ჭამასა ვასდი ბრწყინვალეო, სამოთხეთ ელვარებითა,
ტურფათა გამომჩენელო, შემკაცე არიოუ კლებითა,
მას სრასა სასლისა საჯდომსა, აავსებ მათის ქებითა,

ვონჯის სიცონჯეს დაჭვარაგ შენისა მოსმარებითა.
მცერიც ვერ ვასმლევს უშენოდ, სარ ყოველთა მოსასმარია,
მოყვარე ვარ ჭ მიჯნური, ნუ ქმვრომე ვაიყვერია,
ვერარ მოვიწვდი ასეთი ვულის ლასვარი მკარია,
სიკუდილისაგან აწ ჩემი სიცოცხლე უფრო მწარია.
სანთელმან უთხრა; დამესხენ, ნეტარ შენ ვინ ჭ მე ვინა,
სამდლოდ შემქმნა, რომელ არს საყდართა მჯოდმეზე ვინა,
მკლესიათა მსასურად, სულ ლამე ვამათევინა,
მკუდარსა ამიცო უნთივარ, მას ცოდვა არ აზღვევინა.
სულ ჩემი საქმე საღმრთოა, მე ვინ ჭ მიჯნურობანი,
მუდამ მით ვნათობ არა აქვს, მითვე ვარ სამზრობანი,
მე შენვან არ მეკადრების, ეს არის მართლის თხრობანი,
სიკუდილსა ვიჯობ სიცოცხლე, არ ვინდა მესყრობანი.
ფარვანა მცეკს მცირალი, ის საწყლად მოუბარადო,
სულ ბრწყინავ უამხანავოდ, მისთვის სარ საქებარადო,

მინდა თავს რომ ვევლებოდე, სრულად თჳსლად და ვვარადო,
ვიდრემდი დავიწვებოდე, ვარე ვირბინო ჩქარადო.
ვითა ბულბული ვარდისთჳს, ვაჭრილი ვასელებული,
შენ ჴსოვნობსარ ვარდსა სინათლითი, მეცი სარ ართუ კლებული,
ბულბულს მე ვჯობვარ მიჯნურად, გული უწყალოდ ლებული,
შენთა სხივთა და ბუქთაგან, დამწვარი დავალებული.
იგი იმღერის, იმასის, ჴვევს რასმე სმასა ამოსა,
არც იწვის, არცა მოკუდების, არცარა ვაიმწაროსა,
პირსა ვიყურებს მნათობსა, და ტანსა ალვა საროსა,
რა ვევდო მკუდარი დამწვარი, შენც მნახავ უსუდაროსა.
ვინც აქო ვარდი, ბულბული, იმას ფარვანაც უქია,
ბულბულს ჴკლავს ვარდის შვენება, ფარვანას სანთლის ბუქია,
ვარდს უმშვენობა დაჭკნობს, სანთელს დაავსებს ბუქია,
საზრალოს მათსა მიჯნურსა, ჭირი ჴსჭირს არ სუბუქია.
დრო მოვასლა ლხინისა, სიკუდილი მონაწურია,

აღარცა მინდა სიცოცხლე, რადგან შენც აგრე გსურია,
რად არ გეწყალები ულმობო, თურმე ხარ გარეურია,
ეს აგრეთვე მიყავ დამმარხე, ცოცხალამ სამსახურია.
სანთელმან უთხრა საწყალო, რად გადასულხარ ტკვნესავს,
ვით ვიმლეობ ჭირსა მგზომსა, გული უმაგრე ქვნესავს,
მე შენ სიბრალულს ჩამომხსენ, შენ მომეცალე წვნესავს,
მადი ჯ თავსა ეწიე, მედამ ლასვრისა ჭრისავს.
ღმერთსა ვაჟიცებ დამეხსენ, აწ სხვაგან შენ იარე,
ცუდად ნუ გინდა სიკუდილი, შენთვის ნუ ამაცრე,
შენისა სიბრალულითა, მე ლხინი დამიმკრე,
ცეცხლი ვწვავს ცხელი უშრეტი, ლასვრითა გამიგრე.
ფარვანას ესმა სიტყუები მისისა დამწუწლისანი,
თქვა ამას იქით ვერ ვაჩემლებ, მედავს რომ გული, ქვსანი,
დრო მომივიდა შედკრულსა, ამ სოფლით გადასვლისანი,
აწ ამას იქით მოვკუდები ამას არ უნდა მისანი.

# შამი ფარვანიანი.

ფრთანი გაშალა, მომართა, სად სანთლის შუქი კრთებოდა,
სულ მისთა ჭირთა წალებად, სადაცა თავს ევლებოდა.
თქუენცა აგრე ჰქმენით მიჯნურნო, ვის ვისთჳს გული გსდებოდა,
თავგანწირული საკუდავად, ცეცხლშიგან შეიწვებოდა.
ფრთანი მოუწუნეს სრულებით, ქვე ჩამოვარდა დაეცა,
მისთჳს საკუდავად ლასვარი, უნდოდა მკონივ დაეცა,
ცოტას ხანს მუცლით ილოლა, უნდოდა სული გაეცა,
გასწირა მისმან კელმქმნილმან, სხუას ვის უნდოდა გაეცა.
მკუდარიც არ მოსსლუა სანთელსა, იგ ზედა ვერა ესია,
იწამა მისთჳს დაიწუა, მოკუდა ლასვარზედ ესია,
მისად წალებად საკაცე, არც უნაგირი კესია,
არვინ დამარხა შესუდრა, არცარა ზედრა ესია.
რა ჩამოვარდა სანთლითა, სასანთლეზედა მდებობდა,
მკუდარი, უსულო, დამწუარი, გაცივდა ალარ მბნდებოდა,
ისის ცოდჳთა სანთელი, თავის დნობასა ნებობდა,

მიჯნურნი მისთჳს მტირალნი, ყველა მუნ შემო-
კრბებოდა:
მუნით ჰტიროს ცისკრის ცრემლითა, სანთელს
ლვარი ჰსდის წვეთადო,
მისითა სიბრალულითა, გულსა ჰსჭრის დანა კუწთადო,
ნათელი სინანულისა, ჰსყობს გულს არ მედგას
სვეტადო,
ეს უსარგებლო ლაყაფი მეფურის მეცის მეცადო.—
გათავდა ესე ამბავი, იგ კითხვა არაკობანი,
სიტყჳსა შესხმა რიტორად, ენის სამკაულ მკობანი,
არც სიხარული სულისა, არცარა ზადიკობანი,
უსაქმოს მოწყენილისა, ცუდი რამ ტიკტიკობანი.
ცუდად წოლითა, ვლებითა, ეს მომაგონა რაჭამან,
ორმოს ჩამაგდო სოფელმან, მიგ ჩამიცვანა რა ჭამან,
ღარიბმა კაცმან იგ თურა, სხუა საყუწდური რაჭამან,
იგ ცრემლით ჩემთა დურამან ზედ გადასეთქა რა-
ჭამან.
ღმერთო ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაფსა
ცუდ მიდებასა,
ვეღარ გაუძელ მჯდ ზაფხულ, მოწყენით ცუდად
ვლებასა,
შეჭირვებასა ცეცხლისა და, გულ სასმილ დიდებასა,
მოველი ღუთისგან დახსნასა და მისგან იმედებასა.
(დასასრული.)

# ღარიბის ყმაწვილი კაცის რომანი.

## მესამე ნაწილი.

---

20: ივნისი.

ძლივს შემაცნობინა ამ უცნაურმა სულმა საი-დუმლო მიზეზი თავისის გულის შფოთვისა და მღელვარებისა. მაგრამ ნეტავი არ შემეცნობინებინა.

რაც ამბები მე აქ აღვწერე, იმის შემდეგომ მადმუაზელ მარგერიტას თითქო ჰრცხვენოდა, ყმაწვილური გამხიარულება რათ დამემართაო და უფრო უარესად დაღონებულის სიამაყით შეიმოსა საკე, უნდობლობითა და მკაცრულობით, და ასეთნაირ რომ სასახლეში ყველანი გამხიარულებულნი იქნე-ბოდნენ, ხშირს წუწუნებს რომ ცანცარობა განა-ცხოველებდა ხოლმე, ის აჩრდილის მსგავსად დადიოდა, გაბუშებული, დაუდევნელი, ცივი და ხან და ხან განრისხებულიც. იმისი კილო რაღაც განუცდელის სიმწარით ეცვალებოდა ხოლმე ხან ისეთის სასიამოვნოსა და უმანკოს რასმე ხუმრისა, რომელსაც მეცნიერება და გამოცდილება აწარმოებს; ხან ისეთს მაცთუნებელსა და კეთილშობილურს გრძ-ნობასა, რომელიც მარად თავისუფალი არის ყოვ-ლის წუნისაგან. იმასთან რომ ლაპარაკი ჰქონოდა

ვისმე ვაჟკაცობაზედ, ან სათნოებითსა რასმე მოქ-მედებაზედ, ის მაშინვე სიცრუეს გადუბრუნებდა, აქ უთუოთ თავის მოყვარებისაგან ანგარიშის მიზეზი არის რამე. ჴელოვნებაზედ რომ ქება გაეგონა ვისიმე, მხატვრობისა, მოქანდაკეობისა, მუზიკის ცოდნისა, თუ მომღერლობისა, ქება რომ ცოტათ არ გაეცრიზავებინა არ შეიძლებოდა. იმისი მოწ-ყუწცილი და მომწყლველი სიცილი, დაცემუ-ლის ანგელოზისაგან (*) მწარესა და მზაკუარს სიცილს რომ მიემსგავსებოდა იმისს მშუენიერს ბაგეებზედ, იქ უფრო იმალებდა და გამოირდე-ბოდა, სადაც ცოტაც რასმე კაცის სულგრძელებას შეიტყობდა, ამაღლებულს გრძნობას, ანუ ვუ-ლითადს რასმე ვნებასა. —ეს განსხუავებული სული დამცირებისა და დამდაბლებისა სხვს უმეტესად უფრო ჩუმზედ იყო გადაქცეული მუუსუენებელ

(*) დაცემული, გადმოვარდნილი, გადმოგდე-ბული, განპატიჟებული ანგელოზი, რასაც ჩუენ მაცოურს უწოდებთ, ანუ სულსა ბოროტსა, იმასა ჰქვა. Abbaddonna, *падшiй ангелъ*. ანგელოზთა ბრწყინვალეთა შური უძიეს უფალსა ცათამისა, და გაძევნილ იქმნეს უფსკრულად, სადაცა არს სიწყუდიადე და ღრჭენა კბილისა.

მდევრულად და მტრობით ზედა დამცემად. მე არ მესმოდა და არც ასლა მესმის კარგათ, რა მიზეზი მიგაქვს ისეთი, რომ განსაკუთრებით მე ვჰყავდი ამოჩემებული; მართალია გულში დანერგილი მაქვს სარწმუნოება და აღვიარებ ყოველსავე რაც გონიერებით არის მისაგნებელი და რასაც თვსება უკვდავებისა აქვს, და ამ სარწმუნოებას ჩემის გულიდამ სიკვდილს გარდა ვერა აღმოფხვრის რა (ან რაღა უნდა დამრჩეს, ღმერთო დიდებულო, ესეც რომ არ გამაჩნდეს); მაგრამ მაინც რასაც სალხი მეჰსარის, შორსა ვარ მე იმისაგან, და თუ მე მეკჰსარი რასმე, თუ მევსტრფი, ვის რას ვაწყენინებ მაგითი. სხვა და სხვა რომანულს (*) ფიქრებს მომაწერდნენ ხოლმე, რომ

(*) აჲ ერთი ლექსი კიდევა, რომ ჩვენს ენაში უნდა შემოვიმატოთ და ადვილი უშოვოთ. Romanesque, — Романическій. რომანი თუ არ იცი ჩვენმა თეიმურაზ, რასა ჰნიშნავს, ამ წიგნს რომ წაიკითხავ, მაშინ მაინც შეიტყობ. ღარიბის ყმაწვილი კაცის რომანი გამოდის — ღარიბის ყმაწვილი-კაცის ტრფიალების ამბავი. მაშ რომანი არის ტრფიალების ამბავი; ამ ამბავში ზოგი ისეთი რამ აღიწერება, რომ გამოსაძეგი იყოს

თვალნავე დაერღვათ და დაემსხვრიათ, — თითქო საკრავს რასმე მოამჩეჩებდნენ ყელში, რომ მე მჭერიყო და სიმები კი თვთან დაუწყვეტიათ; ისეთს რასმე შემომჩემებდნენ განსაკიცხავსა, რომ ფიქრათაც არსად მქონიყოს.

ეს წინააღმდეგობა ყოვლის სიკეთისა, რასაც რამ კაცი ქვეყნიერებისა და ნივთიერებას გარეშე ჰპოვებს სადმე, თუმცა მადმუამწელი მარეგერიცახავან ახალი ანბავი აღარ იყო; მაგრამ ახლა ისე წარუმაცა და ისე გადააჭარბა, რომ ვინცავინ ერთ-

---

იმისი ცოდნა, შესამეცნებელი, დამმოძღვრებელი, მაგრამ უმთავრესი სავანიკი ცრფიალება არის, და თუ დამწერმა კარგათ იცის გარჩევა კეთილისა და ბოროტისა, იმ გვარათ აღსწერს ამ ცრფიალე-ბას, ამ სიყვარულს, რომ ჰაცთოხსნებითი გრძნობა მოგაწონოს, გული გაგიწმინდოს, გაგაკეთილ-შობილუროს და სათნოების სიამოვნე გაგრძნობინოს. ვისაც ამ ნაირი ანბავი უყვარს, იმას რომანების მოყვარული ჰქვა და, რაც რამ ისეთი არის, რომ გამოსადეგი იყოს რომანისათვს, მოქმედება ან საქმე, რომ შეიცავნებოდეს რომანში, იმასა ჰქვა **romanesque**, **романическій**, ესე იგი სარომა-ნო, საცრფიალო, რომანული.

გული იყო იმისი, ყველას საწყენათ ჰქონდა, ყველანი ჰსწყურდნენ. მადმუაზელ პორჭოესაც მოჰსწყინდა ეს ამბავი და ჩემთან უთხრა ყრიასელ:

— ჩემო კარგო! რამდენიმე ხანია, რაღაც ეშმაკი ჰბუდობს თქუენში და ურიგოს არ იქმოდით რომ აღარ დაგვანებდეთ, შეალოცვნებდეთ ვისმე და განიდევნიდეთ: თუ არა და თქუენც მადამ ობრისა და მადამ სენ-კასტის ერთამხანაგებით, ეს კარგათ იცოდეთ. ჩემ თავად, მართალია, მე ვერ ვიტყვი, რომანული მქონდეს რამე, ან მქონიყოს როდისმე; მაგრამ სასიამოვნოთ კი მიმაჩნია, რომ შეგულება კიდევ ქუეყანაზედ რამდენიმე სული სამოს გრძნობით აღმაღლებული, მრწამს, რომ ზოგიერთი არც უსასყიდლო მოღუაწების ერიდება; ვიცი და მჯერა, რომ სულგრძელებაც არის კიდევ ქუეყანაზედ და გმირული პატიოსნებაცა; მე მინახავან გმირნი სულითა, ჩემო მშუენიერო! — მიამება სოლმე, ფრინველის ჭიკჭიკი რომ მომესმის; სასიამოვნოთ მიმაჩნია, რომ ჭაერში ჩემს სობოროს ვამჩნევ. იქნება ეს ყოველივე მალიან სასაცილოც იყოს, ჩემო დახაცული; გავბედავ და მოგაგონებთ, რომ ამ გვარი გრძნობა, ან ამ გვარი ოცნება, რაცა გნებავთ ის დაარქვით, — საუნჯე რამ არის ღარიბთათჳს; — ამაზედ უმეტესი უფალს

ოდიოს, ან მე, სხვა არა გაგვახსნიარა, და იქნება ამაში კი ბრალი გვქონდეს, რომ არა ვსჩივით და არავის ვაწუხებთ.—

ერთხელ კიდევ, ჩემის ჩაწყულებით რომ გაჩუმებული ვითმენდი მარგერიტასაგან ესლოანს დაცინებასა, იმისმა დედამ გამისმო ცალკე და მითხრა:

—უფალო მაქსიმე! ევედრებით მიუტევოთ. თქვენც უნდა ატყობდეთ, რომ რამდენიმე ხანია გამოცვლილი არის.

—მადმუაზელს თქვენს ქალს, უეჭველია, უწინდელზედ უმძიმესი ფიქრი აწუხებს რამე.

—ღმერთო! დიაღ უმიზეზოთ არ არის: ახლა იმ დროში არის, რომ დიდ მძიმე სარჩევი უნდა არჩიოს და თქვენც მოგეხსენებათ ამ დროს ყმაწვილს ქალს თავისი გონიერება ძვირათ შერჩება, რომ ცოტაც არის ატაცება არ დასჩემდეს.

მე თავი მოვიდრიკე და აღარა ვსთქვა.

—თქვენ ახლა სარწმუნო მეგობარი ხართ ჩვენის ოჯახისა და უნდა ვალად დავდვათ, რომ თქვენი აზრი შემატყობინოთ. უფ-ს ბევალლანს როგორ იცნობთ?

—უფ-ს ბევალლანს, მადამ, მგონია ძალიან კარგი შეძლება ჰქონდეს,—თუმცა თქვენზედკი

ნაკლები, მაგრამ მაინც კარგი,— ოთხიოდ ათასი თუმანი ექნება წელიწადში, როგორც მგონია.

— დიაღ ექნება; მაგრამ თვითონ იმას როგორ იცნობთ, რა ხასიათის კაცად მიგაჩნიათ?

— მადამ, რომ იტყვიან საუცხოო კაციაო მგონია სწორედ ისეთი იყოს უფ-ი ბევალლიანო გონიერება და ზრდილობა არას დროს არ დააწყუნება.

— მაშ გგონიათ, რომ ჩემი შვილი ბედნიერი იქნება იმისს ქვეში?

— მე არა მგონია რომ უბედური იქნეს: უფალი ბევალლიანი ბოროტი კაცი არ არის.

— რა უნდა გარჩიო, ღმერთო მლიერო! მე სული არ მომწონს.... მაგრამ მარგერიტას სხვა უფრო არავინ მოსწონს... ამასთან შემოსავალიც ოთხი ათასი თუმანი... თქვენც იცით ჩემს ქალს მოსხოვნილი არ დაჭკლებია... ეს ორი თუ სამი წელიწადია მოსყწნება არა ვაქვს იმათგანა. უნდა ერთხელაც არის გადავწყვიტო როგორმე.... მე ავათ-მყოფი დედაკაცი ვარ; დღეს ვარ, ხვალ აღარა... ჩემი შვილი უპატრონოთ როგორ დარჩეს... რადგან ეს ისეთი კაცია, რომ არასფრით არ დაიწყ-უნება, ქვეყანაში ხომ მე ვიმოველ დამნამავე; თუ ქალი არ შეუწყე. ჯერ ახლაც მე მაბრალებენ, რომ მე ვაწვალიდე ვითამ როშასულს ფიქრებსა...

მართალი თუ გინდათ, ეს არის, მე სრულებით არა მისწავლულებია და არცარას გასწავლი. რაც რამ თავში ეგახსია, თუ არა იმისია, სხვისი არავისი. ახლა რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?

—ნების მიბოძებით გკითხო, მადმუაზელ ბორჭოე რას ამბობს? გონიერებითაც და გამოცდილებითაც აღვსილი არის და თქუენიც დიდი ერთგული?

—მადმუაზელ ბორჭოეს თუ ჰკითხავთ, უფროის ბევალთასიათვის კარი აქამდინაც უნდა ამოევექოლა!... მადმუაზელ ბორჭოე თავისას ამბობს მართალია... მაგრამ ის ხომ ვერ შეირთავს ჩემს ქალს, ბევალთასიც რომ თავიდამ მოვიშოროთ!

—უმჯობესია მადამ თუ იმისს მემკვიდრეზედ გილაპარაკეთ, უკეთესი მგონია იქნება,— ამას ვერ დავიფიცავთ; და თუკი თქუენ იმისი ოცი ათასი თუმანი ისე მოგახსენათ, რომ...

—იმისი ოცი ათასი თუმანი სწორედ ისე მიმაჩნია, როგორც ოცი მანეთი,—ჩემო საყვარელო უფალო მარკიზ! მაგრამ ჩემს ნებაზედ არ არის საქმე, ჩემი ქალის ნებაზედ არის... ეხლა, რომ მკვლელს ხომ ვერავის მივსცემ? მე რომ მეგუთნეს ვჭყოლოდი, იქნება საკმაოდ ბედნიერი ვქმოფილიყავ; მაგრამ რაც ჩემთვის ბედნიერება

აქნებოდა, ჩემის ქმრისათჳს იქნება არ იყოს და იმისს გათხოვებაზედ ჩემს ფიქრსკი არ უნდა და-ვეკითხო, რაც მესათუერია და ქუეყანაში. ჩუეუ-ლებათ მილებული, იმას უნდა დავადგე.

— მამ, მადამ, თუ ეს აზრი თქუენც გიჯ-დებათ ჭკუაში და მადმუაზელს თქუენს ქალსაც, რაღა?...

— სულაც არა, მე სულაც არ მიჯდება ჭკუა-ში, არცარაფრად ჩემს ქალსა... ღმერთო ჩემო! აქ ანგარიშია, სხუა არაფერი.

— მაშ უნდა ვიფიქრო, რომ გადაწყუეტილი გქონიათ ეს საქმე?

— გადაწყუეტილი რომ მქონიყო, აღარც რჩე-ვასა გკითხავდით. გადაწყუეტილი რომ ყოფილ-იყო, ჩემი ქმარიც გულ-დამშჳდებული იქნებოდა. ეს არის, რომ გულს უმძიმებს; ამას გარდა....

ამ სიტყუაზედ მადამ ლაპარაკმა უფრო მიცნით შეიწია თავისს ცხარავარს ქუემა და შკითხა:

— იცით თუ არა იმისს უბედურს თავში რა ფიქრი ჰტრიალებს ახლა?

— სრულიად არა, მადამ!

თავისი მეზნებარე თვალი შემომაჩერა ცოტა-ხანს. მერე ერთი მძიმედ ამოიოხრა და მითხრა ნარნარად, დალონებულის ხმით:

— რა გეწყობა: ნასუამდის უფალო!... მე აღარ გაყოვნებთ.

ეს პატივი რომა მცეს და გამანდეს, მაცდენად არ გამიპარვებია. რამდენიმე ხანია ცხადი იყო, რომ მადმუაზელ მარგარიტა უფ-ს ბევალიანს ჰსწირა-ვდა მსწრაფლად, რაცკი კაცისათჳს ყურადღების მოსყრისება შეეძლო რამე. მაგრამ ამ ყურადღებაში ისე ტკბილი გრძნობა არა ყოფილარა, როგორც ცარიელი მეგობრული ნიშანი იყო; სხუაზედ ისევ იმას უფრო უგდებდა ყურსა. უნდა ვსთქუა, რომ არც ამისი განმარტებაა ძნელი: უფ-ი ბევალიანი, მართალია, მე არას დროს არა მყვარებია და არც აქ გამომისახავს ისე, რომ ცოტათ არ დამემახინჯებინოს, მაგრამ ისეთი კაცია, რომ მრავალი თჳსება აქუს ქალისაგან მოსაწონი. არა აკლიარა, ერთს სიმშჳდეს გარდა; ეს ნაკლულევანება უფრო უმჯობესი: ქალებს კაცის სიმშჳდე სულაც არ მოსწონთ. ისე დარწმუნებულია ბევალიანი თავისს გონიერებაზედ, ხუმრობის ცოდნაზედ და დაუმარცხებლობაზედ, რომ იმისი ჩამოყენება არავის შეუძლია; თჳთონკი სხუას ადვლად ჩამოაყენებს და ადვლად იპოვის ხოლმე საზოგადოებაში რაღასაც უფლებასა და უპირატესობასა. იმისი მოსული ტანადობა, გამომჩენი შესახედაობა, სიმარდე, განთქმული ცხენოსნობა და მონადირეობა, ყოველივე

ცხელს რაღასაც სამამაცო თვისებას აძლევს, რომ ნარნარი სქესი დიაღ ადვილად ჰმორჩილდება. თვა-ლებშიაც ისეთი რამ გამბედაობა, სითამამე და გამარჯვება უმეცეულებს, რომ ქალებს სულს უმგროთებს და გულში ჩაშიადს მხურვალებას უცრიალებს. სიმართლისათვის ესეცა უნდა ვსთქვათ, რომ ამ ნაირს თვისებას ფასი არსად ჰსძევს ისე, როგორც მდაბალს სახლში; და მადმუზელი მარგერიტას გული მე რომ მინდოდა იმისს მშვენიერებაზედ უმეტესად ამემაღლებინა და უფ-რო გამემშვენიერებინა, — თითქო უფრო და უფრო დაბლა იწევდა და მეგონა ახლა, რომ ველარ გაუ-ძლებდა და დაჰმორჩილდებოდა იმისს ძლიერებასაც და იმისს შესაფერს მეუღლეობასაც.

ახლა მე ჩემი თავი უნდა გამომეყვანა აქედამ მესამლებელის ლირსებით და ისე ადვილათაც კი გამომექონდა, რომ ამ ერთის თვის წინეთ სულაც ვერ ვიფიქრებდი; — ყოველი ჩემი ღონისძიება ვისმარე, რომ ჩამეჩუმებინა და ჩამექრო ჩემს გულ-ში განსაცდელი და ცეცხლი პირველის სიყვარუ-ლისა, რომ არც გონიერებისათვის იყო მოსაწონი, არც პატიოსნებისათვის და ვინცავის ამ ჩემის გულის ბრძოლაში დაუკითხავათ შემიყვანა, თვითონ იმანვე დაუკითხავადვე, ჩემს გამარჯვებაში ჴელი შემო-

წყო. თავისი მშვენიერება მართალია ვერ დაჰფარა ჩემგან მადმუაზელ მარგერიტამ, — მაგრამ, გული რომ გაალო ჩემთან, ჩემი გული სულ დაიკეტა მაშინ. ეს ჩემი გულის დახშვა მილიონების პატრონის ქალისათჳს მაგდენი უბედურება. არა. არისრა და ჩემთჳსკი სწორეთ ბედნიერებაა.

ამასობაში ზოგი მადამ ლაროკის საქმეებისაგამო, ზოგი ჩემი საკუთარი საჭიროებისათჳს პარიჟი მოვიარე და ეს ორი დღე, რაც აქავე მოველ. როგორც რომ სასახლეში ფეხი შევდგი, მითხრეს მაშინვე, უფ-ი ლაროკი გიბარებთო და დღეს დილიდამ მოკიდებული რამდენჯერ მოუკითხავხართ ვინ იცისო. რასაკვირველია დავაშურე იმასთან მისვლა. როგორც რომ შემომხედა, მაშინვე მკრთალმა ღიმილმა გადურბინა დამჭკნარს ლოყებზედ, თვალი შემომაჩერა, თითქო მცბიერს რასმე სიხარულს აცხადებსო, ან უცნაურს გამარჯვებასაო და მერე მითხრა თავისის სიწყნარის ხმით:

— უფალო! უფალი სენ-კასტი მომკვდარა.

ეს ამბავი, ამ საკვირველს ბერიკაცს რომ უნდოდა თჳთან გამჟღავნებინა ჩემთჳსა, სწორე ამბავი იყო. იმ წინაღამეს წუწთი დასცემიყო უბედურსა და ნახევარ საათს უკან წარეტაცნა ამ ქვეყნიდამ, სადაც იმდენი სადილიკაცთ მზრუნ-

ველობა, პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა გა-
მოცდილი თავისის სასურველის მეუღლისაგან.
რას წამს მადამ სენ-კასტის დაქურივება შეიტყეს,
მადამ ობრიმ მამინვე თურმე მიაშურა თავისს
მეგობარს და დილიდამ მოკიდებული დაღამებამდინ
სულ ამაზედ თურმე იწუწუნეს, უეცრად მოსდათ,
ვერ მოვასწარითართ, მაინც ვერას უშველო-
თო, ღვთის განგებას კაცი ვერსად წაუვა და
სხუა! და სხუა! მოსწყინდათ წუწუნიცა და უთხრა
ქურივს მადამ ობრიმ:

—წავიდეთ ახლა; საჭმელი ინებეთ რამე, მა-
დამ! უნდა თავს გაუფრთხილდეთ, ღვთის განგე-
ბაა; რა გაეწყობა; ღმერთს ნუ აწყენინებთ მაგ-
დენის მწუხარებითა.—

ქურივმა ერთი ბოთლი მუჭლი ღვინო შემო-
ატანინა, განსუენებულს რომ უყვარდა და ჰსთხოვა
მადამ ობრის გემო ისინჯეთო. მადამ ობრიმ,
მარტო მე არას დროს არ ვიახლებიო, და რაღა
გაეწყობოდა, ესეც ღვთის განგება იყო, რომ
დღევანდელს დაქურივებულს ერთი სტაქანი მუჭ-
ლი ღვინო მიერთმია; თორემ არც სტუმარი ინე-
ბებდა. გამოსწრუპეს წუწუნით ის ბოთლი,
ოღონდ გენერლის სადღეგრძელოკი აღარ მიურ-
თმევიათ.

გუშინ დილას მაღამ ლაროკი და იმისი ქალიც შავათ მოსილნი, ჩასხდნენ კარეტაში; მეც იმათთან ჩავჯექ. დილით ათს საათზედ შევედით პარიჟის ქალაქში. მანამდისინ მე მეცხედრის გაცილებაში ვიყავი უნუგეშო ქვრივს ქალებმა მაღამ ობერი მიუჩინეს, მიიხმარეს ვინმე და უპატრონეთ უნუგეშოსო.

რა მიწა მიწას მივაბარეთ, მე დავბრუნდი და საელოვს სახლში შემიყვანეს, იმისი მორთულობა რომ ოთხას თუმნად დასჯდომოდათ. ორმოც თუმნიანს დივანზედ შეწუხებული და უნუგეშო მაღამ სენ-კასცი იჯდა მწუხარეს შავებში გახვე-ული, გვერთ უჯდა მაღამ ობერი, თითქო სამინ-ლად დალალული და თითქო ერთის კვრის უმი-ლობით დაულონოებული. ექვსიოდ ბჟდი ნათე-სავი და მეგობარი გარს ეხვევნენ. მანამდისინ სხვანი მეორე მხარეზედ დასხდომას მოვახერხე-ბდით, ფესის მოთალი, და სკამების ბრაგი-ბრუგი იყო გასმირებული. მერე გაჩუმდა ყოველივე, მდუმარებამ დაიბინავა და მხოლოდ ოხვრა კი გვეს-მოდა, რომელსაც მაღამ ობერი მაშინვე ხმას მისცემდა ხოლმე, როგორც უდაბური კლდე ან ცალიერი ჭურჭელი გაგონილს ხმას განამეორებს ხოლმე.

ბოლოს ერთი ყმაწვილი კაცი შემოვიდა; გზა-ზედ შეჭყვანებოდა მანამდისინ სიცარას გაათავებდა, სასაფლაოზედვე რომ მოჭყოლიყო წვევას. ჩუმწნ-თან რომ შემოვიდა, მსუბუქი ნიავის ხმითა ჰკითხა მგლოვიარემ:

—არცურ, თქუწნა სარი?

—დიახ, მამიდავ! მე ვახლავარ, მამიდავ,—დიდის ფესის სიწყნარით მიუახლოვდა და ისე მო-ახსენა.

—რა ჰქენით? ჰკითხა ქურივმა იმავე უკიდუ-რესად შეწუხებულის ხმითა: სულ გაათავეთ?

—დიახ, მამიდავ, სულ გავათავეთ.

გაჩუმდნენ ჰაცარასანს. მერე მოჰყვა ისევ შე-წუხებული:

—კარგათ გაათავეთ?

—ძალიან კარგათ, მამიდავ, ძალიან კარგათ.

—ხალხი ბევრი იყო.

—მთელი ქალაქი, მამიდავ, მთელი ქალაქი.

—ჯვარიც იყო?

—დიახ, მამიდავ, მთელი გარნიზონი და მუ-ზიკაცა, მამიდავ!

ამოიოხრა მძიმედ ქურივმა და ჰკითხა კიდევ:

—ცეცხლის გამქრობნიც იყვნენ?

—დიახ, რასაკვირველია, მამიდავ; ცეცხლის

გამქრობნიც იყვნენ.

მომყცებული მესაწყისებელი აქ რა იყო არ ვიცი, მაგრამ, ცეცხლის გამქრობნიც იყვნენო რომ შეიტყო, ქმრის გული შეუწუხდა, ქალები იმას მიხვდნენ და ჩვენც ამ შემთხვევაში გარეთ გამოვედით. სწორე უნდა გითხრა, უკან აღარ მიმიხედავს. აღარ შემეძლო მოთმენა ამდენის მცხოვრებთა წუხილისა და ლუთის საწყენის მაცთურობისა: სიცოცხლე დაუმწარეს საბრალოს კეთილს კაცსა, სული თვთან ამოართვეს და ახლა ჩვენ გვაჩვენებდნენ, ასე საშინლათა გვწყუხვართ:

რამდენსამე ხანს უკან მადამ ლაროკმა მითხრა, აქ ერთი გომის ნახვა მინდა და თან წამომყევით, თხუთმეტიოდე ვერსტი იქნება. სადილი იქ გვეშლებოდა: მადმუაზელ მარგერიტას მამა იყო იქ ავათმყოფი და იმისი ნახვა უნდოდათ. შუადღიდამ მეორე საათი იქნებოდა რომ წავედით. ასირებული სიცხე იყო იმ დღეს. კარეტისა ორივე კარი გაღებული გვქონდა, მაგრამ ბუღისაგან თითქმის სული გვიგუბდებოდა. სადაც ასეთი სიცხე იცის, მეტად ძნელია იქ არდადეგებში სიარული.

ჩვენმა მუსაიფობამ ვერ გაატანა სიცხისაგან მაშვრალს გონიერებასა და გაჩუმებულნი მივდიოდით: მადამ ლაროკი მეზნებარეს ქუჩყანაში იყო

დაბადებული და ძლივს ჩემი ნაწუწული შემოვიცა-ლეთ, სამოთხეში ახლა გნეცარებთ, ჭფიქრობდა; მადმუაზელ მარგერიცა ისპანიელი ქალივით მარია-თს იცრიალებდა. ამ ულევს მინდორში და ხმა მიწყუწცილს პაპანაქებაში დაქანცულის ცხენებით რომ მივცოცავლებდით, ვიღამაც მოგვაძახა: «მოიცადეთ, მოიცადეთ, ღმერთი გაგიმარჯუწბით.» გავიხედეთ: ერთი ფეხშიშველი გოლაც გოგო მორ-ბოდა ჩუწნსკენ ქელში თითისცრიახი: სირბილში რამდენიმე ცხუარი წააქცია, რომელსაც უდგა, და რომ მოგვეწია, მშიმედ თავი დაგვკრა, და გვპო-თხრა: უკაცრავათ გასლავართ, მაგრამ ერთი ეს წიგნი წამიკითხეთ თქუწნი ჭირიმეთ! უბიდამ ერთი მუწლებურად დაკეცილი წიგნი ამოიღო და მო-გვაწოდა.

—წაუკითხეთ, მიუხრა სიცილით მადამ ლა-როკმა; ხმა მაღლად წაუკითხეთ, თუ შეიძლება.

დავჭხედე: სამიჯნურო წიგნი იყო; ზედ ეწე-რა: მადმუაზელ ქრისტინე თიდეკს. სოფელს ნ...ს; გომს... ქელი, ეცყობოდა, წერას დაჩუწეული არ იყო, მაგრამ გულითკი იყო დაწერილი. რიცხვთა ჭსჩნდა, რომ ორისა თუ სამის კვრის მილებული უნდა ჭქონიყო ეს წიგნი მადმუაზელ ქრისტინეს: და თავისს შეცნობს რომ იმისი წაკი-

ტყუა გერაგის ანდო, ამდენსანს თურმე მეზავრს ელოდა ვინმე, რომ წიგნი ჰსცოდნოდა და იმისათვისაც მართალი ეთქუა.

იმისი ჭრელი და მსხვილი თვალი მე მომადგა მაშინ და დიდის მოუთმენლობით შემომყურებდა, მანამდისინ ამოვიკითხავდი; ბოლოს წაუკითხე:

«მადმუაზელ! იმ დღეს აქეთ, საღამოზედ რომ «მოველაპარაკეთ, ამ ნიშნით, რომ ლოცვიდგაც გა-«მოსული იყო, უნდა მოგახსენოთ, ჩემი სურ-«ვილი მე არ გამომიცვლია და თქუენთვის ვსწუხ-«ვარ რომ არ ვიცი. ჩემი გული ერთობლივ «თქუენია, მადმუაზელ, და მე მინდა თქუენი გული «ერთობლივ ჩემი იყოს; თუ აგრეა რაღა, «ასე უნდა ბძანოთ, ჩემისთანა ბედნიერი კაცი «აღარც დედამიწაზედ იქნება, აღარც თუ ცაში,— «ჴელს არ ვწერ, და ხომ იცით ვინცა ვარ.

—ხომ იცით ვინ არის მეთქი, ვკითხე ქრისტინეს წიგნს რომ ვაძლევდი.

—შეიძლება, კუდიანობით ეკითხა ამ ლამაზმა, მაგრამ მზისგან შემწუარმა გოგომ; თავისი მშუენიერი სპეტაკი კბილები გაიჩუენა ლიმილით: გმადლობთ, ეკითხა და გასწია ისევ ჴერბილით მინდორში, მხიარულმა და კმაყოფილად

მომღერალმა.

მადამ ლაროკს ამისთანა ყოფა ცხოვრება რომ ყოველთვის სანატრელათ ჰქონდა, გამხიარულებული თვალი ადევნა მადმუაზელ ოილეკს და, რომ აღარა ჩნდა, მაშინ მოაგონდა: ვაჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ერთი ოქრო მეჩუქებინა იმ საწყალი ქალისათვისაო.—ალეს! აბა ერთი მიაძახეთ, იქნება გაიგონოს და მოვიდეს!

—რისთვის დედაო! ჰკითხა მადმუაზელ მარგერიტამ, რომელსაც აქამდისინ თითქო სულ ყური არა უგდიარა ამ საქმისათვის.—ფული გინდათ აჩუქოთ? ოჰ! დედაჩემო! ლუიის ფულისათვის ნუ იქო მაგასა; ნუ გაუჩირქიანებთ ბედნიერებას ფულითა!

ამ საკვირველის წმინდა გრძნობის გამოთქმა მადმუაზელ მარგერიტასაგან, სწორე უნდა ვჰსთქვა, დიდად გამიკვირდა, თითქმის მეგონა, თავისებურათ სუმრობს და დაცინის მეთქი.

მადამ ლაროკი ისევ ჩაფიქრდა; მადმუაზელ მარგერიტამ ისევ დაიწყო მარაოს ტრიალი; კარეტა ისევ გაუდგა თავისს გზას. ერთს საათს უკან მივედით მიმასთან. უკეთ დავხვდა და შეუდგა მაშინვე დიდის ფაციფუცით სადილის მზადებას. სტოლი გარეთ დავჰდგეს წაბლქვეშ. მადამ ლა-

როკისათჳს კარეტის ბალიში გამოვიტანეთ და თუმ-ცა თავისებურად განცხრომით აქ ვერ დავჯდებოდა, მაგრამ მაინც დიდს სიამოვნებაში იყო.— ჩუენი აქ ყოფნა მკაში ყოფნას მომაგონებსო და უკეთეს-დროს გატარება როგორღა შეიძლებაო. ჩემთჳსკი სხუას შემთხუევაში იქნება სასიამოვნო ყოფილ-იყო ასე შინაურულად ყოფნა ამათთანა და ასე და-ახლოვება; მაგრამ, ბოლოს სინანულში არ შევი-დე მეთქი, დიდად ვერიდებოდი იმ გამხიარულებას და იმ სითამამეს, ამ გვარს სადილს რომ შეეფე-რება და მწარე იყო ჩემთჳს ყოველი ლუკმა ამ სადილისა.

სადილი რომ გავათავეთ,— აა იმ ხევზედ ჯერ არსადა ყოფილხართო, მკითხა მადამ ლაროკმა და ხევი დამანახვა, ამ მინდორს რომ დაჰყურებდა. 13

— არა გხლებივართ, მადამ.

— ოჰ! როგორ იქნება! უნდა ნახოთ რა მშუენიერებაა! თვალითჳს უკეთესს ვერას წარ-მოიდგენთ. მანამდისინ ცხენებს შეკაზმავდნენ, მარ-გერიტა აგვიძღუებათ, თუ გინდათ; განა? მარგე-რიტა?

— მე, დედა.... რახანია მე იქ აღარა ვყოფილ-ვარ... მაგრამ კარგი..... წავიდეთ, უფალო, იცოდეთკი, რომ ძნელი აღმართია.

შევჰყევით პატარა ბილიკს, შეღმართში რომ მიიზლაზნებოდა; ყმაწვილი ქალი ხან და ხან შესდგებოდა ხოლმე და მოიხედავდა, თან მივდევდი თუ არა და სიარულით აღელვებული, ხან შემომცინებდა ხოლმე. ხმა არ გამოუცია ისე ავედით. ავედით მაღლა პატარა მოვაკებულს ქედზედ და სოფლის ეკკლესია დავინახეთ იქ ერთი, იმისი პატარა ზარი თითქო ჰაერში იყო გამოსაკიდულიო ისე მოჩანდა სინათლით გარემოცული. საყდარს იქით სასაფლაო იყო გალავან შემოვლებული: შეაღო მარყუერიცამ კარი, სასაფლაოს გაიარა და ერთს პატარა ადგილს მიაყვანა, რომელიც იქითა მხარეს გადაჰყურებდა: რაღაც რამ ჩარდახივით გადაკიდებული იყო ეს პატარა ადგილი და შუაზედ ერთი ქვის ჯუარი ესვეტნა. რომ მივიდა იქა, თვალები მზისაკენ ხელით მოიჩრდილა და დაუწყო ყურება რაღასაც მოშორებულს. მაშინ მეც მივედი: ეს მშვენიერი ზაფხულის დღე მზის დასვლად იყო მიწევნილი და გადაშლილი სინათლით დასცემდა ერთს ისეთს რასმე ვრცელსა, განიერს, უდაბურს და საკვირველს გადასახედავს ადგილსა, რომ ჩემს სიცოცხლეში ამგვარი არა მინახავს რა. ჩვენს წინ, მაღლიან დაბლა, სადაც ვიდექით იმ მთის მირობაზედ, თვალ უწდომელი ჭაობიანი ველი და-

ფინებოდა, აქა-იქ თითქო მბრწყინავის მინის ნამ-ტვრევებით მოფენილით. წარღვნის წყალი ახლა თუ გასცლია ამ ადგილსაო, იტყოდა კაცი. მომ-წვანო და მავათ დამცვეთი ქალოაკები, ყანაცრიოსნო და უცხოველო, წყალთა პირა ჰბიბინებდნენ და პა-ცვარ-პაცვარა ცვებში მზის შუქზედ აქა-იქ გამო-ბრწყინდებოდნენ, და სადაც ამ ერთის წამსა ბრწყი-ნავდნენ, იქ ჰქრებოდნენ, ჩრდილით მოფენილ-ნი. სინათლე და სიბნელე, ელვარება და სიწყუდი-ადე, თითქო დაუმინებელის მკლავით აღმოფოთებუ-ლნი ერთმანერთს ებრძოდნენ და თითქო სიბნელე სძლევდა ელვარებასა, დასავლეთისაკენ მიაშურებ-და და აღმოსავლეთის მხარეს უმატებდა დამშვენე-ბულსა, გახუმებულსა და ჩრდილში გახვეულსა. კაცი იტყოდა, რაც ამ ბრძოლაში მკრთალი ნივ-თი იბნევაო, ვერცხლი, ოქრო, იაგუნდი, ალმასი, სად არის ანგარიშიო. მნათობი დავიდა თუ არა, გარეშემო მთებს რომ ნისლი ეხვა, თითქო ვერ-ცხლი მოექიდაო, ისე აენთო ეს ნისლი და სწორედ ისე ლაპლაპებდა, სწორედ ისე ათამაშებდა თავის ზვირთებსა, როგორც ნამდვილის ვერცხლის მეზნე-ბარებაო; მაშინ დასცხრა დაბლობის ბრძოლაცა და გადაეფინა ყოველსავე მყურმეველი ლართი მდუმა-რებისა და სიბნელისა. — მე სულ ამ საკვირველის

სანახავის მინდვრებს მოჰფენდი, ღვთის განუზომელს ძლიერებას შეჰჭვრეტოდი და ღრმად დაფიქრებულს რომ ქვეყნიერებისა არარა მახსოვდარა, ვიღამაც ჩუმათ წამოსთქუა ჩემთანა: «ოჰ! ღმერთო! რა მშვენიერება არის!» —

ძალიან მოხარს ვიყავ, რომ ეს გრძნობა ჩემის ყმაწვილის ამხანაგისაგან მეფიქრებინა. იმავ წამს შევხედე გაკვირვებულმა და ჩემს გაოცებას თუ არ მოემატა არა მოაკლდარა, რადგანაც დავინახე, რომ სახე აღელვებული ჰქონდა და პირი უთრთოდა; ყოველად უეჭველი იყო, რომ გულითა ჰსთქუა, რაცა ჰსთქუა.

— ალიარებთ, რომ მშვენიერებაა? ვჰკითხე მე.

ამ კითხვაზედ იმან თავი დაიხარა და ორი მსხვილი ცრემლი გადმოუვარდა თვალებიდამ; ლოყებზედ რომ ჩამოსდიოდნენ, იგრძნო და იწყი-ნა; მერე მივარდა ქუს ჯუარსა, ხელები შემოავ-ლო, შემოეხვა და პატარასავით უკან იმისი ქვი-ქვითით ტირილი მომესმა.

ამ წმინდა გრძნობის გამოთქმას კაცმა არ უნდა დაუშალოს მეთქი, ვჰსთქვ ჩემს გუნებაში და გავშორდი. მერე რომ წამოდგა და თმებს ხელით ისწორებდა, მივედ:

— ოჰ! რა მრცხვენიანო? მითხრა პირმორი-

დებით.

— გრცხვენიათ კი არა, შვენიერად მიეხვდეთ თავი და ნურას დროს ნუ ინდომებთ მაგ ცრემლების გამოშრობასა; საღმრთო და სასიქადულო არიან ეგ ცრემლები. მერმეთ მაინც ყველასად შეესწრებით.

— რაც მოსდა, მოსდაო, რაღაც გულის წყრომით ჰხითქვა ყმაწვილმა ქალმა; — ამას რაღა ეშველება... რაც რამ მშვენიერება არის ქვეყანაზედ; რაც რამ საჭვრეტო არის, მინდა მეზიზღებოდეს და კიდეც მეზიზღება!

— რატომ, ღმერთო დიდებულო!

შემომხედა და მითხრა გამოუთქმელის მწუხარებით:

— იმიტომ, რომ მე ვარ მშვენიერი და ჩემი სიყვარული შეუძლებელი არის.

მერე, თითქო შეგუბებული წყალი უეცრად 17
მოვარდაო, მოჰყვა გაცხარებულს ლაპარაკსა:

— ასეა სწორეთ. — ღმერთს აქ ჩემს გულში ყოველი საუნჯე დაუნერგავს, მე რომ ვჰკიცხავ და ვჰგმობ ნიადაგ საათსა. როდესაც სიმდიდრით გამავსო, რაც ერთის ხელით მომანიჭა, ის მეორე ხელით წამართვა. რის მაქნისია ჩემი მშვენიერება, რის მაქნისია ჩემი ერთგულება, ჩემი

ნინარნარე, ჩემი გულის სიუხვე, რომლითაც ალსავსე არის ბუნება ჩემი. ეს ის ღირსება ხომ არ არის მრავალნი რომ შემოსცრფიან და მიწუხენ. ვჰხედავ, ვიცი კარგათ და თუ ერთხელ სულმა ვინმე პატიოსანმა, უანგარომ, უანგარობამ მე შემიყვარა, როგორიცა ვარ და არა ისე, როგორცა ვჭლირვარ ჩემის სიმდიდრით... მე ამას ვერ შევიტყუობ, რომ შევიტყუე ვერ დავიჯერებ. ნაღდავი უნდობლობა — აჲ რა არის ჩემი ტვირთი, ჩემი სასჯელი. გარდაწყვეტილი არის წინასწარვე: სიყვარული არ უნდა მიეკაროს ჩემს გულსა. არასდროს არა ვიქ, რომ გულისა ბოროტებსა, ულირსოსა, ანგაარს გარდაეცეს წმინდა და უბიწო ტრფიალება ჩემი, ჩემს გულში რომ ამაოდ არის ღუთიოსაგან ანთებული. ქალწულობით უნდა ვანვიდეს სული ჩემი და იფავნ!ეს არის სუფ ჩემი და ვექუფმდებარეობ; მაგრამ რაც რამ მშუენიერება არის ქვეყანაზედ, რაც რამ სანატრელია და სათაყვანებელი; რაც რამ ზეციერებას მოგვაგონებს დასმულსა, რაც ვამოუსადეგ ტრფიალების ლამპარს ანთებს ჩემ შორის და სიყვარულის გრძნობათ ცხოველებასა, — ყოველსავე ვანვავდებ, ყოველსავე ვმაიცებ და ვჰგმობ ყოველსავე!

ეს ლაპარაკი რომ ვათავა, ჰქვითინოდა და ჰსძრა-

წოდა მთელის სხეულით; მერე დაწყნარდა, ხმა დაიმდაბლა და მიიხრა: — უფალო ღმერთო! მე არ მიმეხნია ეს შემთხვევა.... ანგარიშით არა მითქვამსრა... ეს აღსარება თქვენთვის არა მქონია გამზადებული; მაგრამ ვსთქვ და რაღა გაწყობა; ახლაა იცით ყოველივე... და თუ თქვენ მერმნობელობას გაწყენინე როდისმე, იმედი მაქვს, მომიტევებთ.

და ხელი მომაწოდა. ჩემის ხელებით რომ ამ ოფლისა და ცრემლებისაგან დასველებულს ხელს დავეკონე, სწორედ სიკვდილის ულონობამ დამირბინა მარჯვენაშია მეთქი, ასე მეგონა. თვითონ მარგერიტამკი თავი იქით მიიღო, ცოტას ხანს დამწუხარებულს ცას უყურა და სთქვა მერე დალონებულმა: წავიდეთ ახლა. ისე ჩამოვედით, რომ ხმა არ ამოგვიღია. მე რა უნდა მეთქვა? სხვაზედ უმეტესი საქმე მე ვიყავ. კარგათა ვგრძნობდი, რომ რაც უნდა მეთქვა, ჩემი სიტყვა სხვას ვერასა იქმა, თუ უფრო არ განაგრძელებდა იმ სივრცეს, რომელიც უფრო და უფრო შორს მაცნებდა ამ დაღრუბლებულის და სათაყვანებელის სულისაგან.

თვითქმის დალამებული იყო, — და აღელვებული რომ ვიყავით, ვერა შეგვამჩნიესრა. ჩავსხედით,

კარეტაში და წამოვედით. მადამ ლაროკმა ერთხელ კიდევ ჰსთქვა, ლიდის სიამოვნებით გავატარე დრო და ჩაფიქრდა თავისებურად. მადმუაზელ მარგერიტა, უსილველი და უძრავი, ამ კარეტის სიბნელეში ძეგლსავით მძინარესა ჰგავდა; მაგრამ ერთხელ ქუჩის მოსახვევზედ რომ ცოცხლეული სინათლე მიადგა, თვალები გახელილი ჰქონდა და მეტყობოდა, რომ თავისი უჩვეულო ფიქრი არ აძლევდა ძილის ნებას. მე ვერც კი გამოვჰსთქვამ, რას ვჰფიქრობდი მაშინ. რაღამაც საოცარმა გრძნობამ წამიტაცა, მეტად საამოდ და მეტად მწარედაც და მივანებე მეც თავი, როგორც სიზმარს მიანებებს ხოლმე კაცი ხან და ხან თავსა, რომ ჰგრძნობს სიზმარიათ, მაგრამ არც გამოღვიძება უნდა, სიამოვნე არ გამიქარვდესო.

შუაღამე იყო რომ მოვედით. კარს რომ მოვადექით გამოვედ კარეტიდამ, ბალი მინდოდა გამომევლო და მას ამ შემოკლებულის გზით მოვსულიყავი. ბნელის სეივანში რომ შემოვედ, ერთი რაღაც ჩუმი ფეხის ხმა და ჩურჩული მომესმა და ორი ჩრდილი დავინახე ამ სიწყვდიადეში. მეტად დაგვიანებული იყო, რომ ეჭვ არა მელოდა და ხეს არ შევჰფარებოდიყავ, რომ ისე არ მეთვალიერებინა, ვინაც იყვნენ ეს შუაღამის დროს

ბაღში მოარულნი. წინ გამიარეს დიდის სიფრთხილითა და ვიცან: მადმუაზელ ჰელუენი და უფ. ბუვალანი, ჴელი-ჴელს მიეცათ და საიდუმლოდ ჰმუსაიფობდნენ: ამ დროს გამობრუნებულის კარეტის ერიალი მოესმათ და მაშინვე განშორდნენ ერთმანერთს; მადმუაზელ ჰელუენი სასახლისაკენ გაიქცა და ბუვალანმა ტყეს მიაშურა.

შევედ ჩემს სადგომში და ვჰკითხე ჩემს თავს დიდად განრისხებულმა: მივანებო თავი, თუ ჩავუშალო ამ უფ-ს ბუვალანს, ორგვარი საქმე რომ განუზრახავს და ერთს სახლში ცოლსაც რომ თხოულობს და საცა რომ უნდა დაისვას მეთქი? მართალია, ჩემის ხნის კაცი და ჩემს დროში მყოფი, ზოგიერთს გულისთქმას ვერ განვჰკიცხავ სასტიკის მოძღვრის მსგავსათა, და ამ ფარისევლობას თავს ვერ ვიდებ; მაგრამ ვჰგონებ კი, რომ, რაც უნდა ალჴრ ალისხნილი იყოს და გარყვნილი, ამ გუარს საქმეებში ცოტა რამ ღირსება მაინც უნდა ჰქონდეს, ცოტა რამ პატიოსნება და ზდილობა. თავ და პირველად ართიერობის განმამართლებელი მიზეზი არის სიყვარული და უფ. ბუვალანისაგან გამშორებული სიყსუვე ნარნარებისა სრულიად არას წარმოადგენს წარმტაცებელსა და ნამდვილს გულის სურვილსა. ამ გუარს ართიერობაში

შეცთომა მომივიდაო ესეც არ ითქმის. აქ არა არისრა, თუ არ ისეთი ანგარიში, თუ არ ისეთი ვარჯიში, როგორც ცხენის ჭარვას უნდა, მაგალითად. დღევანდელი და ამაღამინდელი საქმეები რომ ფიქრში წამოვიდგინე, ცხადათ დავინახე, რომ ყოვლად უღირსია ეს კაცი იმ ქალისა და იმ გულისა, რომლისაც მზითვასა ჰბედავს. მაგრამ ამასაცკი მაშინვე მივხუდი, რომ მე ამ საზარელს ქორწინებას ვერ დავარღვევ, ვერ მოვშლი ამ თარალითა, შემთხვევამ რომ მამოვნინა მე ამაღამ. საქმე როგორც უნდა კარგათ დაბოლოვდეს, ცუდს მოქმედებას მაინც ვერა გაამართლებსრა; დაბეზღება არას დროს არ არის საქებარი: ყოველთვის უპატიურება დამბეზღებლისათვის.—მაშ უნდა მოჰხდეს ეს ქორწინებაცა, აუცილებელია. უნდა. მიანებოს ღმერთმა ეს საგანგებო და საუკეთესო თავისი ქმნილება ამ გულგრილსა და გულქარვენილსა! უნდა დასთმოს უფალმა მშვენება შეუგნებლისა!—აჰ! რამდენს სხვასა ჰსთმობს უფალი მრავალ-მომთმენი!

ახლა გამოძიებას მეუდგე, რა ჭკუამ აფიქრებინა ყმაწვილს ქალსა, რომ სხვას ყველას ეს კაცი ამჯობინა? მგონია მივჰხვდი. უფ. შეგალლანი ჯერ არის ძალიან მდიდარი; რასაც

აქედამ შეიძენს, ითქმის ერთი იმდენი თჳთანაცა აქუს; მაშ ამას მაინც ვერვინ იცყჳს, მჴითევს გამოეკიდოს; მერე, რადგან არა უჭირსრა, ვინ რას იცყჳს დასამრავსავს ან დასაწყნარს? საწყჳსა-რიკი არის ეს მიზეზი: შემლებობის ზომით უნდა იზომებოდეს ღირსება კაცისა? ოთხში სამეჯერ მაინც გაუმაძღრობას სიუხჳწ ამლიერებს — და უფ-რო გლახაკნი ისინი არ არიან, ვისაც უფრო უჭირთ.

განა არ შეიძლება, მადმუაზელ მარგერიტამ თჳთან გასხილოს როგორმე თვალი თავისის ალერსე-ულის ულირსობაზედ და თავისს საკუთარს გულში ჰპოვოს ისეთი რამ სუამიადი რჩევა და დარიგება, რომ ჩუმგან გასაგებელი არ იყოს? განა არ შეიძ-ლება განიღჳმოს იმისს გულში ასალმა რამ გრ-ძნობამ, მოულოდნელმა, მლიერმა, და განუქარ-ვოს ის ამაო ანგარიში, რომელმაც ეს კაცი ალერსევინა? აკი დაბადებული იყო ეს გრძნობა იმისს გულში: მაშ ამდენი სსუა და სსუა ყინი, ამდენი დაფიქრება, მფოთი, ცრემლი, რომ ხან ხაგანი ვიყავ მე და ხან მოწამე, სსუა რა იყო, თუ არ გამოცხადება იმისი აზრის დაუ-დგრომლობისა და იჭჳნეულობისა, რომ არ იცოდა რა ექნა? არც ისე ასალი შემოსული ვარ რომ

არ ვიცოდე, სადაც იმისთანა გრძნობა გამოცხადე-
დება. საღამოზედ რო მე შევესწარ და აღსარებას
უნებლიეთი მე მოვისმინე, იქ არ შეიძლება მისა-
ყურის ჭურში სიგრილე არ ჩამოვარდეს ერთხელაც
არის. ამ ნაირს ღელვაზედ, ამ ნაირს რყევაზედ
მფუმხებიან ასეთი ორნი სულნი, თუმცა რომ შემ-
ფოთებულნი არიან, ან აუცილებლად რომ უნდა
შემშვოთდნენ.

მაგრამ თუ ეს მართალია, თუ მე უყვარვარ
იმასა, რადგან ყოველად უეჭველია, რომ მე მი-
ყვარს, — ამ სიყვარულისა მეც ის უნდა ვჰსთქვა,
რაც იმასა ჰსთქვა თავისს შემწყნარებისა: არის
მაქნისია მეთქი, ამიტომ რომ იმედს ვერას დროს
ვერ ვიქონიებ, რომ განქარდეს როდისმე იჭვნე-
ულება ნიადაგი, რომლითაც ავსავსე არის გული
ამ კეთილშობილის ქალისა, იჭვნეულება, რომელ-
საც, უნდა სწორე ვსთქვა, ჩემი სახიათი ვერას
დროს ვერ შეიწყნარებს და რომელსაც სხუაზედ
უმეტესადრე მე უფრო ვექვემდებარები: ისე არა-
ვიზედ არის იმისი ეჭვ სამართლიანი ასაღები, რო-
გორც ჩემზედ. სადაც ამისთანა ბნელი ფიქრი
ჰმკვიდრობს და სადაც უსამეცნავესი მორიდება მე
მმართებს, რა სასწაული უნდა მოჰსდეს იქ ისეთი,
რომ ჩემსა და იმას შუა ეს განუცდელი უფსკრუ-

ლი ამოავსოს და დაჰფარლოვოს.

ან, რომ მოჰჴიდეს კიდეცა ამისთანა სასწაული, მაგონდება მერე მე ის ქალი, რომლისათვისაც მე ჩემს სიცოცხლეს სიამოვნებით გავსწირავ, მაგრამ ისოვნიკი ჩემს სიცოცხლეში არ ვიცოდი; და თუ მალონს, ექნება ბედი ამ კაცმაროს თუ არა? უნდა მოვყოლოდე რომელსმე გაღვიძებას დამ-ნებულის იჭვნეულობისასა თუ არა? ან თვთან მე შემიძლია, საწყენი არა ვიფიქროა ამ ვეშარად შემინებულის სიმდიდრეზედ, თუ არა? შემემლება განუშორებლად დაცვობა სიყვარულითა, ამ ნაი-რად შემინებულის სიმდიდრეზედ რომ იქნება და-მოკიდებული? ჩვენ რომ ქალის მშვენიერობა და პატიოსნობა გვმართებს, ყოველის სიპატიოსნის 14
ურწმუნოებისაგან ნაბრძანები და დაწესებული, ისე გვმართებს, რომ თუ ერთს წამსაც არის ეს ვალი დარღვეა როგორმე, რაგინდ უცოდველიც უნდა იყოს მიზეზი დარღვევისა, შეუძლებელია, იმავ წამს არ მოეფადეს რაღაც რამ ჩრდილი იჭვნეუ-ლობისა და უნდობლობისა. მართალია, სიმდიდრე ისეთი რამ სარგებლობა არ არის, რომ ქუეყანა-ზედ იმისი შესადარებელი არარა იპოვებოდესრა; და მე ისე ვჰგონებ, რომ ვინც თავისს ცოლს, რამდენისამე ოქროს პარკის სამაგიეროდ, მიანი-

ჭკუის საკუთრის ჩინებულსა, ან ღირსებას რასმე აღმატებულსა, სიდიდეს ქუეყნიერებაში მეფობისა, ან მოსაწონებულსა რასმე სასიქადულოს, — მადლობის ვალი არარ უნდა აწყუმდოდეს, არარ უნდა ჰსოვნიდეს ამ ფერის ქმარსა. მაგრამ მე... მე მაქუს ყოველი უკეთესი; როგორც ასეთი არაფერი, ისე არცარა მოსაწონებელი; ყოველის ღირსებისაგან, რასაცკი ქუეყანაში ფასი ჰქონდეს, სრულიად არა გამაჩნიარა ერის გვარიანობის საკუთრის გარდა და ეს საკუთარი, გარდაწყვეტილი მაქუს არასად ვასესხო, რომ არა ჰსოქუან, ეს არის იმისი სავაჭრო ფასით, იმისი საკუთრით. მაშ მე უნდა ყოველივე მიველ და ნაცვალადკი ვერა მივანიჭორა: მეფემ რომ მწყემსის ქალი შეირთოს, სრულყოფილება იქნება საშო, სასიქადულო, მოსაწონავი; და თუ მწყემსი ქმრობაზედ დაჰყვა დედოფალს, მაშინ მწყემსის საქმე სრულიად სხვა გამოვა.

ღამე ისე გავათენე, რომ ჩემს საბრალოს თავში სულ ამ ფიქრებს ვატრიალებდი, და როგორ დავაბოლოვოთ მეთქი ვეძებდი და ღლესაც ვეძებ. იქნება დაუყოვნებლივ უნდა თავი დავანებო ამ სასოსაც და ამ ქუეყანასაც. სიბრძნე ამასა ჰბძანებს. ბილო რომ კარგი გამოვიდეს არ შეიძლება.

რამდენს მომაკვდინებელს მწუხარების მოიმარებს კაცი თავიდამ, ერთს წამს რომ სიმხნით და გაბედვით მოიქცეს. დამძიმებული მაინც უნდა ვჭყოფილვიყავი მწუხარებისაგან და უკეთესი შემისვევაც არსადა მქონია; მაგრამ, არ იქნა, ვერ გავბედე. ჩემს აღელვებულსა და დაცანჯრულსა გონიერებას საფუძვლად უძევს ახლა ერთი ფიქრი; სხვას ყველას ეს ფიქრი ჰფლობს და გულს მივსებს კაცობრივს სამოვნეზედ უმეტესის სიამოვნით. გული ჩემი მსუბუქია, როგორც მფრინველი ჭაერისა. თვალწინ ის პაწარა სასაფლაო მიდგას მაღლობის ქედზედ, ის ვრცლად დაფენილი ქუთაისა მინდორი და ამ გაბრწყინვებულს ქედზედ ის მშვენიერების ანგელოზი, საღმრთო ცრემლებით რომ ჯვარზედ მიყრდნობილი თავისის ცრემლებით ირეცხებოდა. ახლაცა ვჰგრძნობ ჩემს ბაგეებს იმისს ყელზედ დაკოცნებულსა; ახლაცა ვჰგრძნობ იმისს ცრემლებს ჩემს თვალებში, ჩემს გულში. მიყვარს. და რადგან გაბედვა საჭიროა, აუცილებელია, რა გეწყობა,—ხვალ გავბედავ... და ხვალამდისკი, დამანებონ თავი ღვთის გულისათვის. კაი სახია ბედის. არა ვიცირა... ეს სიყვარული... იქნება მომკლას ამ სიყვარულმა: და ერთს დღეს მაინც მშვიდობით ვიცხოვრო!

26 ივნისი.

ეს დღე, ეს ერთი დღე რომ მენატრებოდა არ მომეცა ეს დღე. ჩემმა მოკლე ცხოვრებამ არ მოუცადა დაწყებულს გზას. როცა დავიწყე ეს გზა, არ ვიცი. ზნეობაშიაც ისე, როგორც სხვა წესდებულებაში არის ზოგიერთი ისეთი კანონი, რომ დაუსჯელად დარღვევა არ შეიძლება, რადგან მოქმედება ისეთი აქვს, რომ ცხადად ჰხსნის ნიადაგი მონაწილეობა ღვთის განგებისა ამ ქვეყნის საქმეებში. კაცი ერთი, სუსტი და დიდებული, ერთის ბრძნის აღთქმასა ჰსწერდა თავისმის შემდეგი კელით და იცოდა: «კეთილ არს ყოველი, რომელი უფლებასა კაცისასა ემონების; ბოროტ არს ყოველი, რომელი უფლებასა კაცისასა იმონებს. აღკრძალულ არს ჩვენდა ბუნებისმიერ, განვრცელება კაცთა ჩვენთა გარეშე შემძლებისა ჩვენისა; აღკრძალულ არს ჩვენ და ღონიერების მიერ სურვილი ყოველი, რომელი აღსრულებად არა ძალუძს; აღკრძალულ არს ჩვენდა სჯნიდისის მიერ არა შეცვითმა უმეცრებითი, არამედ მლევა ჩვენზედან საკუთართაგან. არა გულის თქმა არს ნებასაზედან ჩვენსა დასამყარებელ, არამედ ნება ჩვენი ვნებათა და გულის თქმათა ზედა; კანონიერ არიან გრძნობანი ყოველნი-

რომელნი უფლებასა ჩუენსა ემორჩილებიან; წარმწყმედელ არიან გრძნობანი ყოველნი, რომელთა ვემორჩილებით. მიუთჳსე გული შენი მშჳენიერებასა, რომელი არა წარწყმდების; შეძლებისამებრ შენისა შეჰზღუდე სურვილნი შენნი; თანანადებნი შენნი უწინამძღუარე გულის თქმათა შენთა ვნებითთა; განავჭრცე კანონნი საჴიროებისანი საგანთაზედა კეთილზნეობითთა; ისწავე ნებსით წარგება ყოვლისა, რომლისა მალია წარტყუევა შენგან შესაძლო არს; ისწავე დათმობა ყოვლისა, რომლისა დათმობა გებმანების საიხოებისამიერ.»
ეს არის სწორედ, ეს არის ბუნებითი კანონი; ვიცოდი; დავარღჳე და დასჯილიცა ვარ. სამართალი უკეთესი აღარ შეიძლება.

ფეხი ამ უეუნურის ცროფიალების ჩრდილს დავადგი თუ არა, დავჭქანდი მამინვე და სუფის დღეში მლივზლა შევიკრიბე ლონე, რომ კუალი მაინც დამეთვალიერებინა ამ ჩემის სასაცილო დაცემის სადამ სად გადმოვარდი მეთქი. მადამ ლარიკი და იმისი ქალი დილასვე წავიდნენ მადამ სენ-კასტის სანახავად და იქიდამ მადამ ობრის მოსაყვანად. მადემუაზელ ჭელუენ მარცო იყო სასახლეში და სამის თუჳს ჯამაგირი მიუცანე: საოჯახო საქჯი თუმცა ჩემს უწყებაში სრულიად არა არის,

მაგრამ ქალების სურვილი იყო, რომ ჩემი ჯამაგირი თვითონ მე მეღო და მადმუაზელ ჰელუენისათვისაც მე მეძლია. ეს ყმაწვილი ქალი პაცარა ოთახში იყო, ზალის გვერდზედ, დამსჭედა ლმობიერი, მაგრამ ცოტათ დაფიქრებული. საბრალული მემივრდა და მეც ისე ამევსო გული ლმობიერებითა, რომ ცხბილათ და გამოცსადებით ლაპარაკი მოვიწადინე; მინდოდა, მე სულელს, კელი მიმეწოდებინა და განსაცდელისაგან გამომეხსნა.

— მადმუაზელ! თქუენ მერიდებით, მაგრამ მე კი ისევ ისე გულითადი მეგობარი ვარ თქუენი. ნებას მომცემთ დაგიმტკიცოთ ესა თუ არა?

შემომხედა და — დიალო — სიმშვდით მითხრა.

— თავს რათ იღუპავთ, ჩემო საბრალო?

წამოხტა ზეზე და შემომძახა: — წუხელის ბალში მნახეთ განა?

— დიალ, მადმუაზელ!

— ოჰ! ღმერთო! უბედო მქსიმე! ღმერთსა ვფიცავ, უბრალო ვარ.

— მჯერა, მადმუაზელ! მაგრამ უნდაკი გითხრათ, რომ ამ რომანით, თქუენის მხრით რომ სრულიად უბიწო არის, და მეორეს მხრითკი იქნება აგრე არ იყოს, ისეთს საქმეს ჩადიხართ, რომ საკელს იცესით და თქუენს სიმშვდეს თქუე-

ნას ქალით აილოეწვთ. ლხინის გულისათვის იფიქ-რეთ და დარწმუნებული იყავით, რომ თქვენს გარდა, სოფლელი ბიჭი სიტყვას ვერ გაიგონებს ჩემგან ამ საქმეზედ.

ჩამოვეცალე; მაგრამ ქალი მეცაცა, თავი ამ ქალზედ დაისვენა, მუხლებზედ დაემხა და მოჰყვა ყმაწვილურად ტიროდა. დიდი ხანი არ არის, უფრო მშვენიერი, უფრო დასთვალსებელი ცრემ-ლები ვნახე, მაგრამ ამან უფრო შემაწუხა.

— აბა გნახოთ, ჩემო საყვარელო ლემცასე-ლო... ნატიოხნებით გამობრუნება კიდევაც შეიძ-ლება, განა?.... მაშ, გავმხნევდეთ, ქალოჯან! ნუ გეშინია. ჩვენ გამოვიხსნით, გვაცალეთ. რა შემიძლია თქვენთვის, აბა გნახოთ ერთი? ქალში ხომ არა უჭირავსრა ამ ბიჭს, ნიშანი რამე ან ბარათი თქვენი, რომ თქვენ მაგიერად მოგ-სისოვით; ისე ვევედრებოდეთ, როგორც მამა...

მოიხსნებით გამომეცაცა ქალი და მომაძახა! — ოჰ! რა შეუბრალებელი ხართ ჩემო!... ჩემს გა-მოხსნას ანბობთ და თქვენკი ხართ ჩემი დამღუპა-ვი! ჯერ თავი შემაყვარებინეთ და მერე ქალი უკუმკარით!... თქვენა ხართ ჩემი დამმდაბლე-ბელი, ჩემი სახოების წარმკვეთი... თქვენა ხართ მიზეზი რაცა ახლა შემართება!

— მადმუაზელ! უსამართლობა არ ვარგა. თავი შეგაყვარო მეთქი, ჩვენს სიცოცხლეში ფიქრათაც არა მქონია; მე მქონდა და კიდევაც მაქვს გუ-ლითადი და წრფელი პატივისცემა თქვენი და არა ცრუფიალება. აღვიარებ, რომ თქვენი მშვენიერება, თქვენი გონიერება, თქვენი ნიჭიერება სამართლად მიგიძღვით, რომ უფრო ტკბილსა და ნარნარს გრძნობას ელოდეთ ყოველის კაცისაგან, ვინც კი ახლოთ იმყოფება, დამმყრს სიყვარულზედ უფრო ტკბილსა და ნარნარსა; — მაგრამ ჩემი მდგომარე-ობა, ჩემი საოჯახო ვალდებულება, მე ნებას არა მაძლევსრა, რომ ამ დამმობას გადავაჭარბო და პატიოსნებაზედ ჴელი ავილო. გამოცდილით გეუ-ბნებით, რომ მშვენიერი ხართ, მაგრამ არც მე ვჭყოფილვარ აქამდისინ თქვენთან ულირსი. თქვენთჳს დასამდაბლებელს მე აქ სულ ვერასა ვჭხედავ. — სწორეთ დასამდაბლებელი თქვენი ის იქნებოდა, მადმუაზელ, რომ გარდაწყვეტით შეყვარებული მეგობრით კაცისაგან, რომელსაც გარდაწყვეტილი მხოლოდ ესა აქვს, რომ ცოლად არ შეგირთოსთ. —

ერთი ცუდათ შემომხედა და მითხრა: — თქვენ რა იცით: ყველანი სომ დიდს მზითევს არ ეკი-დებიან!

— თუ ყმაწვილი ბოროტებას გინდით დაინახოთ, ჩემო ბატონო მამამუშვილო ქალაქებს, მაგას რა ვუწ-ყობ და მაშ მმართველობით.

— უფალო მაქსიმე, — მომმართა, და მეტად ვე-ლი მესაუბრებოდა! მომიტევეთ, შემიბრალეთ! ოჰ! გამიგონეთ, როგორი უბედური ვარ! წარ-მოიდგინეთ, როგორი რამ უნდა იყოს ფიქრი ისე-თის უბედურის სულიერისა, მე რომ ვარ, — გული რომ მქონს მოსიკვდილებული, სული, გონე-ბა და რომ ვერც ერთს ვერაფერად მოვიხმარ, თუ არ საშწუხაროდ, თუ არ გასაკიცხავად! რა არის ჩემი სიცოცხლე, რას უნდა მოველო-დე? ჩემი სიცოცხლე ის არის, რომ ჩემს სიღა-რიბეს უნდა ვჭურმხობდე სხვების სიმდიდრით გარემოცული. ჩემი მოსალოდნელი ის არის, რომ ყოველი რომელიც იქნება უნდა ვიტირო და ვე-ლოდო ეს დამწარებული სიცოცხლე, ეს მარად საზიზღარს მონებაში ყოფნა. თქვენ ჩემს სიყმა-წვილეს ანბობთ, ჩემს გონიერებას, ჩემს ნიჭი-ერებასა.... ოჰ! ნეტავი ჩემს სიცოცხლეში მარ-ტო ვნახავდე ქვს მეტურევა მცოდნოდა, სხვა არა-ფერი, მაშინ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი. — ჩემი ნიჭიერება, — უსასიამოვნესი დრო ჩემის სიცოც-ხლისა, იმაში უნდა მოვიხმარო, სხვა ქალი და-

გამიჩნო, რომ ჩემზედ უკეთესი იყოს, ჩემზედ უსათნოესი, ჩემზედ უმაღლესი... და იპოქმის ჩემი უწმინდესი სისხლიც რომ იმისს მარლუწოში გადავიღო, მაინც ის ბედნიერს მეუღლეს უნდა გაჭყურჩს, ქორწინებაში იდღესასწაულოს და მე კი მარტო მოსიყვარებული, დავიწყებული, ერთს კუთხეში უნდა ჩავჭკნე სადმე, სხვა არაფრის ნაცრონი, თუ არ ერთის მეგობრის ფამაგირისა. რა დავაშავე ისეთი, რომ ეს ბედი მხვდა, განსაკუთრებით? მე რათ უნდა ვიყო ასე და არა ეს ქალები? რათ უნდა მეპრობდეს ეგენი? მე თუ ცუდი ვარ, ჩემი უბედურება არის ამისი მიზეზი; უსამართლობისაგან არის, სული რომ მაქვს დამწყვდებული. მეც ისე ვარ გაჩენილი, როგორც ისინი... იქნება უკეთესათაც,—რომ კარგი ვჭყოფილიყავი, მოყვარული, გულმოწყალე... ეჰ! ღმერთო ჩემო! მოწყალება მჯრათ არ უზით, ვისაცკი სიმდიდრე არ აკლია და კეთილმოქმედება ვის ეკუთვნება, ვისაცკი ბედნიერებაში არის. მე რომ იმათს ადგილს ვჭყოფილიყავი და ისინი ჩემსას, იმათაც ისე ვემადლებოდი, როგორც მე მემადლებიან... სამინელია რასაც აქ განვიცდი, ვაჰ! კარგათ ვიცი... ეს არის რომ მაბედავს ამ თავის დამდაბლებისა, ამ სირცხვილისა... უბედურო ჩემო თავო! ასლა

სო უმეტესი სიძულილი გექნებათ ჩემი, უფალო... თქვენსა, დიდი სიყვარული რომ მექნებოდა თქვენი, რომ გენებებინათ; თქვენ, რომ შეგე-ძლოთ მოგვენიჭებინათ ჩემთვის რაც რამ დაკარ-გული მაქვს, სასოება, სიმშვიდე, სიკეთე, თავის-ფრთხილება და პატივი... იყო ერთი წამი, რომ ჩემი თავი განსაცდელისაგან გამოხსნილი მეგო-ნა; — რაღაც იმედი რომ მომეცა ბედნიერების, პატიოსნებით სიცოცხლის, მე უბედურს, მე საცან-ჯურწლად დაბადებულს!

მიიტანა თვალებზედ ორივე ჩემი ხელი და გაგიჟებულივით იწყო ცქირილი.

— საყვარელო ჩემო მადმუაზელ! მერწმუნეთ, რომ სხუაზედ უკეთესად მესმის, რა სამწუხაროა თქვენი მდგომარეობა; მაგრამ ნება მომეცით გითხრათ, რომ თქვენ თვითონ აძნელებთ თქვენს მდგომარეობას მაგნაირის ფიქრებითა. თქვენ რაც უნდა სთქვათ, აქ მაინც მეგობრულად გეკიდე-ბიან; და თუ მომავლისა ვფიქროთ არ ვიცი, თქვენ რაღამ უნდა დაგიმალოთ, რომ თქვენც ბედნიერს მეუღლეს არ გაჰყვეთ ამ სახლიდამ. ჩემთავად მე მარადის მადლობელი ვიქნები თქვე-ნის პატივისცემისა და ყურადღებისათვის; მაგრამ მინდა ერთხელ კიდევ გითხრა გადაწყვეტილი და

შეუბრუნებელი სიტყვა, რომ მე, ჩემს ვალდებულებაში მყოფსა, ცოლის შერთვა არცა მსურს, არც შემიძლია.

— არც მარგერიტასი?

— არ ვიცი, მადმუაზელ მარგერიტა რა სასწყენებელი არის აქა!

მაშინ ცალის ხელით თმები გადიწია, შუბლზედ რომ ჰქონდა გადმოშვებული; მერე ყელი მუქარით მოიშვირა ჩემზედ და მითხრა: — ის სასწყენებელია, რომ ეტრფით თქვენ იმასა, ან იმისს მზითევსა, მაგრამ ვერ იმოგებთ.

— მადმუაზელ ჰელუენ!!...

— ოო! კარგა ყმაწვილი ყოფილხართ კიდევ, თუ გეფიქრნიათ, რომ შეიძლება ქალის მოტყუება, რომელსაც ერთხელ სისულელე დამართვია და თქვენი სიყვარული გულში ჩავარდნია. მე ძალიან ცხადათ ვჰხედავ თქვენს მეცადინეობას, ნუ გეფიქრებათ. ამას გარდა ვიცი, ვინცა ბძანდებით... შორს არ ვიყავი, რომ მადმუაზელ პორჰოემ თქვენი პოლიტიკური აღსარება მადამ ლაროკს გაანდო...

— როგორ? კარიდამ ყურის გდებაცა გცოდნიათ!!...

— თქვენს წყრომას მაგდენს აღარას დავხედავ

*

მაგიერს გადავიხდით და მალე... კარგათ დაჯე-ლოვნებულიკი ბძანებულხართ; უფალო მანე! მოგილოცავთ. ძალიან კარგათ წარმოადგინეთ დაუდევნელობაცა და სიფრთხილეცა, თქუენმა მეგობარმა ლობიჯენმა რომ დაგარიგათ... კარგათ ქსცოდნია, ვისთანაც გექნებოდათ საქმე... კარგათ ქსცოდნია ამ სასაცილო ქალის სასაცილო ხასიათი. და ახლა გეონიათ, თქუენი სამოვარი ქუდში გეჭიროთ განა, კარგი მილიონები, ძალიან წმინდათ შემუნილი და თქუენის მარკიზობისათვის კარგათ შესაფერი... ნუ გვენაღვლებათ.. ღვეიდამ მოკიდებული შეგიძლიათ სრულებით გადიწყვიტოთ ეგ იმედი; გეფიცებით, რომ ერთს დღესაც აღარ შეგარჩენთ მე ეგ პირის სამურავი და აქ ის ქუდი, რომელიც გადაკამრობს!

— მადმუაზელ ჟულიენ! ახლა დრო არის დავიბოლოვოთ ეს ჩუენი მუსაიფობა, თორემ მასხარაობას მოაცდანა, ეს არის. კარგათ გადამიხადეთ, რომ დაცემისაგან და დასაცინებელის საქმისაგან გაგაფრთხილეთ. ნება გაქუსთ სრულის თავისუფლებით იაროთ მარამდის და მე პირობას გაძლევთ თან არ ჩამოგეუჩოთ. ახლა მშვიდობით.

გულის შეწუხებით დავანებე თავი ამ უბედურს ქალსა, მაგრამ სიბრალულითაცკი. თუმცა ყოველთვის ვჭვიქრობდი, რომ იმისს მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რაც უნდა კარგის გუნებისა

თუოს, არ შეიძლება რომ არა სწუხდეს და მრავალს ძნელად მოსათმენს არ იცანდეს, მაგრამ ვერას დროს ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს ორმო ისეთი ღრმა ორმო იქნებოდა და ისე ნალეწლით გავსილი, როგორც მე ახლა ამ ქალმა თვალწინ წამომიყენა. უეჭველია, რომ ვინც კი ამ ქალის მდგომარეობაში იპოვება საქმე, უმეტესი ნაწილი ასეა გაჭირვებული და გული რომ გაუფუჭებელი შერჩეს, ვერავინ დააღწევს თავსა, თუ არ ღვთის შეწყობით და თავისის მეუღლის სიმტკიცითა, მადმუაზელ ჭელუეს რომ აღარ შერჩენია. მაგრამ მაინც საზარელია ეს მაგალითი. რამდენჯერმე მეც მომივიდა ფიქრში, იქნება ჩემს დასაც ისე გაუჭირდეს საქმე, რომ მასწავლებლად შევიდეს სადმე მდიდარს ოჯახში მეთქი: ახლა ვიფიცე და აღუთქვი, რომ რაც უნდა გაჭირვებული ვიყო, ერთი მწარე ლუკმის მეტი რომ არა მომეხერხებოდესრა, ეს მწარე ლუკმა უზიარო ხოლმე და ამ ნაირად მომწამლველს სუფრაზედ კი არსად მიუშვა.

მადმუაზელ ჭელუეს, მართალია, მეიდანი მივანებე, რომ იმოქმედოს როგორც ჰნებავს და პირობა მივეც, რომ მე არაფერში მივეჭყუტებოდი, მაგრამ უზრუნველადკი ვერ წარმოვიდგენდი, რა უნდა

შესდგომითა იმისაგან ასე ცხადათ გამოთქმულს მეცნიერებას. რასაც მე ის დამემტკიცა, დამტკიცება მეტი აღარ შეიძლება: ვინ და ვინ შეესება ჩვენს სიყვარულს და ჩვენ ნაცვალსხმებას. რაკი ერთხელ ჩუენი ვინაობაც იცის და ჩვენის გულის საიდუმლოება, სიმართლეს და სიყვარულს ერთმანეთში გადაუწევს ისეთის ოსტატობით, რომელიც იმისს სქესს ეკუთვნის და იმ გვარათ წარმოადგენს ყოველს ჩვენ მოქმედებას, ყოველს ჩვენ სიტყვას და ფეხისგადადგმასა, რომ ადვილად დაგვიჯერებინოს, ვითამ განზრახვა მქონდეს მართლად ისეთი, როგორიც თვითონ ჰქონია მადმუაზელ ჰელენეს. შეუძლებელი იყო, რომ მიმხვედრიყავი, როგორ დააცრიალებდა თავისს ბოროტს განზრახვასა. მაგრამ ამაშიკი ვგონებდი, რომ არ მესცდებოდა და კარგათ ინგარიშებდა, სად რა ოსტატობა იქნებოდა მოსახმარებელი. ვისთანაც საქმე ჰქონდა მოსასყრნებელი, ამასვით სხვა იმათ ვერავინ იცნობდა. როგორიც მადმუაზელ მარგერიტა, ისე დედა იმისი, ამასთან გულ ახსნილნი იყვნენ და ენდობოდნენ. უეჭველი იყო, რომ ამისთანა გამოცდილი და გავარჯიშებული ქალი სულის საწამლავს ადვილად შეაპარებდა იმათ. მართალია, ესეცკი უნდა ეფიქრებინა მადმუაზელ

ჭყლოენს, რომ ამითი მადმუაზელ მარგერიტას და მშ. ბუვალოასის დაკავშირებას უფრო მოასწრაფებდა და თავისი საკუთარი განზრახვა კი უსაცილოდ ჩაეშლებოდა; მაგრამ გამწყრალი ქალი აღარც ანგარიშობს და აღარც არაფერს ერიდება. ამ მიზეზით ველოდი, რომ აღარ დამიგვიანებდა აღთქმულს მორიგებასა და არც ამას იანგარიშებდა, როგორი რამ გამოვა ჩემი მორიგებით; ველოდი და არც შევმცდარვარ.

დიდის მწუხარებით გავატარე რამდენიმე საათი, საამო ფიქრებისათვს რომ მქონდა გაწირული. რაც კი დამოკიდებულებაში შემამრწუნებელი რამ იპოვება ამპარტავანის სულისათვს; რაც ეჭვნეულებაში, უნდობლობაში მწარე რამ იპოვება განწმენდილის სჳნდისისათვს, ან სიძულილში მომწყვლელი ტრფიალის გულისათვს, ყოველივე ვიგრძენ და გამოვცადე. მტერობას და წინააღმდეგობას აშკარად გაზსებული ფიალი არას დროს არ მოუწოდებია ჯერ ჩემთვს. მაგრამ ჩვეულებით კიდევ ვსაქმობდი ჩემს საქმეს. ხუთის საათზედ შევედი სასახლეში. ზალაში დამხვდნენ მადმუაზელ მარგერიტა, მადამ ობრი, მშ. ბუვალოასი და ორი თუ სამი დროებითი სტუმარი. მადმუაზელ მარგერიტამ თითქო ვერ დამინახა რომ

შევედი: უფ-ს ბეჟალდანს რაღასაც ისეთის სიცხო-
ვლით ელაპარაკებოდა, რომ იმისი ჩურჩულება არ
იყო. ბოლოს გამოჩნდა, რომ ბალში წასვლას
აპირებდნენ იმ ღამეს ერთს მეზობელს მეპატრო-
ნესთან. მადმუაზელ და იმისი დედა უნდა წასულ-
იყვნენ და თან წამოგვყვითო, ბეჟალდანს ამუ-
რებდა; ის ბოდიშს იხდიდა, მისიდამ რომ გამო-
ველ, არ ვიცოდი რომ მეც დაპატიჟებული ვიქ-
ნებოდი და საბალო ტანისამოსი არ მაცვია. მად-
მუაზელ მარგარიტა ისეთის გულით ჩასცინებოდა
რომ თითონ ბეჟალდანს გასაკვირველად მიაჩნდა,
არ შეიძლება არ წამოგვყვეთო, და ჯერ კიდევაც
მოასწრებთ შინ მისვდეთ, ტანისამოსი გამოიცვა-
ლოთ და აქვე მოსვდეთ, წაგვიყვანოთო. სადილ-
საც შეგინახავთო. უფალმა ბეჟალდანმა უპასუხა,
ეკიპაჟის ცხენები ჯერ სულ ისევ ბალასწყლა
მუაფან გამყუწბულნი, საჯდომს ცხენზედ სომ სა-
ბალოთ მორთული ვერ მეჯსჯდებით. — მაშ ჩუენს
კალასკას შევიბმევინებთო, უთხრა მადმუაზელ მარ-
გერიტამ. იმავ წამს პირ და პირ მე მომიბრუნდა,
მისის დამცემი თვალი მომაყენა და მითხრა დი-
დის ბძანებლობით; — უფალო ოდიო! — წადით,
ცხენები შეუბმევინეთ! —
ეს ბძანება ასე იმ ზომას გარეშე იყო, რომ-

ლითაც აქამდისინ მე აქ მელაპარაკებოდნენ და რომლისაც ჩემგან აღსრულებას იფიქრებდა ვინმე, რომ ძველად ყურები აცქვიტა, ვნახოთ რა გამოვა აქედამო. საწუხარი რაღაც მდუმარება ჩამოვარდა მთელს ზალაში. უფ. ბეკალლანმა ჯერ გაოცებით მადმუაზელ მარგერიტას შეჰხედა, მერე ჩემსკენ მოიხედა, თავი აიმაღლა და ზეზედ წამოდგა. თუ ამას ელოდა ვინმე, რომ მე განრისხდებოდი და უზრდელობას რასმე ჩავიდენდი; მოსტყუვდნენ. რასაკვირველია, ეს გამოუპატიურებელი სიტყვა რომ მეცა ასე მშვენიერის, ასე საყვარელის და ასე მტარვალის პირისაგან, თვითმის სიკუდილის სიცივე მომხვდა გულში და ყოველს ჩემს აღტაცებაში და არ ვიცი ფოლადი რომ გულში მეტაკებოდა, ნეტა თუ უფრო შემაწუხებდა, — მაგრამ ჩემს სიცოცხლეშიაც ისე დამშვიდებული არას დროს არა ვყოფილვარ, როგორც ახლა ვიყავ. მადამ ლარიოს, რომელსაც კაცის დამარცხება დასჭირდებოდა, ზარს დააწკარუნებდა ხოლმე; ეს ზარი იქვე ჩემთან პატარა სტოლზედ იდვა და დავაწკარუნე. შემოვიდა მაშინვე მსახური და უთხარ იმას:

— მოხსნია მადმუაზელ მარგერიტას უნდა რაღაც ეიბმანის შეთქი.

ეს რომ გაიგონა ყმაწვილმა ქალმა, დიდად გაიოცა და განრისხებულმა ანიშნა მოსამსახურეს არ მიიღოსო. მე მინდოდა გავსულიყავ მაშინვე ამ ზალიდამ, სული მიწუხდა; მაგრამ უფ. ბევალლანი რომ ამაყად მიყურებდა ვერ მოვერიდებოდი.

—ეჰე! ეს კარგა უცხო რამ მოსდით, ჩაილაპარაკა ბევალლანმა.

მე ეს ითიქო ვერ გავიგონე. მადმუაზელ მარვერიცავ რაღაც წასჩურჩულა მამას.

—ნება თქვენია, მადმუაზელ! ხმამაღლად მიუგო უფ-მა ბევალლანმა. ვემორჩილები თქვენს ბძანებას: მაგრამ ეს კადნიერება მაინც მქონდეს მოვახსენოთ, რომ დიდათ ვსწუხვარ, რომ ხმის ამოღების ნება არა მაქვს აქა.

მე წამოვდექ მაშინვე და მივედი უფ. ბევალლანთან:—უფალო, ბევალლან! მაგაზედ სრულიად ნუ სწუხდებით: მე თუ მადმუაზელის ბძანებას არ დავემორჩილე, თქვენს ნებას ეს არას დაუშლის და თქვენთვის მზათ გახლავარ... იმედი მექნება, ბძანებას აღარ დამივიწყებთ.

—ძალიან კარგი, ძალიან კარგი, უფალო! უმეტესი აღარ შეიძლება, მომაცანა ბევალლანმა ყელის სასიამოვნოდ ქნევითა, რომლითაც ქალებს

აშფოთებდა თავისს გულებში.

მძიმეთ თავი დაუკარით ერთმანეთის და გა-მოვედთ გარეთ.

სადილათ მარტო ვიყავ ჩემს კოშკში; ალექსი შემისწორებოდა ჩურჩულებით. რაც ზღვაში მოჰხდა, გაგონილი ჰქონდა რასაკვირველია; მწუხარებით შემომყურებდა, ხან და ხან მძიმეთ ამოიოხრამდა ხოლმე და თუმცა ლაპარაკი უყვარდა, მაგრამ ახლა დამუნჯებული იყო. მხოლოდ ეს კი მითხრა, რომ ამაღამ ქალები ბაღში აღარ მიბძანდებიან.

სადილი რომ გავათავე, ქაღალდებს მივჰყავ ხელი, მინდოდა გადამეწერა და ორიოდ სიტყვა ლოპუხინისათვის მიმეწერა. ვინიცკის რა მოსდებოდა და ეგენი მინდოდა ჩამებარებინა. ვაჟიც ეგენე უპატრონოთ დარჩეს მეთქი, ეს ფიქრი გულს მიკლავდა, მაგრამ ჩემს განწირულსავით სრულიად მომიშლიდა. შეიძლება შეცდარი ვიყო, მაგრამ ყოველთვის ამას ვამბობდი, რომ პატიოსნების ვალი, ამ ასლანდელის ჩვენს ცხოვრებაში, სხვის ყოველს ვალდებულებას გარდამეტება, პატიოსნება თავისის განუზომელის თვისებით ისეთი რამ ღირსება არის, რომ კანონმდებლაც უმშვენიერეს და ზნეობისადაც უფრო დასაცველი: კარგი ანგარიშობს კაცი, ჰგრძნობს ამ ღირსებას და ალიარებს რო-

გორც სარწმუნოებას. ჴსჯულის გამცემსი განიდევ-ნება საზოგადოებიდამ; და პატიოსნების გამცემსი კი შერცხუენილი დარჩება საზოგადოებაში.

მაინც ისეთი გრძნობა არა არისრა, რაკი ერთ-ხელვე ადამიანს გულში ღრმად დაუმკვდრდება, რომ გონიერებაც არ ამოწმებდეს იმისს მეურ-ყეველობას. ქალი სულ რომ მარცხო იყოს ქუე-ყანაზედ, ათას წილათა ჴსჯობია შერცხუენილის მისა, თუ ქმრის კვლად ყოფნასა.

ყოველს წამს მოციქულს ველოდი ასლია უფ. ბევალ-ლინისაგან. მეც ქალაქის საზნადართან დავაპირე წასვ-ლა; ყმაწვილი კაცი არის, ყირიმის ომში (*) დაჭრილი აფიცარი და მინდოდა იმისთჳს მეთხოვნა, რომ დამსწრეთ ყოფილიყო ჩემთან და ის იყო შინიდამ გასვლას რომ ვაპირებდი, კარიც დამი-რეკეს. შევჴედე, თჳთონ ბევალლიანი შემოვიდა ჩემთან. ძალიან გამიკვირდა იმის მოსვლა: რიგი არ იყო რომ ამ შემთხვევაში ის ჩემთან მო-

---

(*) აქიდამ შეატყობ, ჩემო თეიმურაზ, როგო-რი ახალი ამბავია ეს რომანი: ყირიმის ომი გათა-ვდა 1856-ში; ამ ომში ნამყოფი აფიცარი (ანუ ოფიცერი) საზნადარათ იყო ერთს პატარა ქალაქში რომელსაც მაქსიმე ოდიო ამ ამბავში იყო.

სულიერო.

— უფალო ოდეო! ჩემი თქუენთან მოსვლა მართალია ჩუეულების წინააღმდეგი არის; მაგრამ, ისეთს საქმეს ვადგევარ, რომ, ღუთის მადლით, ჩემს გულადობას საკიცხავი არა შეეწამებარა. ამ სალამოზედ ისეთი კმაყოფილება მიგილე, რომ ჩემში მჳცერობასა და სიმულიოლს ადგილი აღარა უნდა ჰქონდესრა. ამასთან ბძანებასაც ისეთს ვასრულებ, ახლა უფრო უმეტესად სასიამოვნო-ვალი მაქუს მორჩილებისა. ერთის სიტყუით, იმისთჳს მოველ, რომ მეგობრულად ქალი ჩამოგართუათ. —

მივაწოდე ქალი; დაბძანდით მეთქი განიშნე, და მაშინ მომიყვა: ახლა ანგარიში უნდა მოგაბაროთ ჩემის მოციქულობისა. მადმუაზელ მარგერიტამ, რასაკჳრველია ფიქრში იქნებოდა გართული, ისეთი საქმე დავსაქმათ, რომ თქუენ არ შეგეფერებოდათ. ყველანი ალუარებთ, რომ თქუენ ეს სწორეთ სამართლიანათ იწყინეთ და ახლა მე გამომგზავნეს ქალებმა, რომ იმათ მაგიერად მწუხარება გამოგიცხადოთ და საზოგადოთაც თქუენთან ბოდიში მოგიხადო, დიდად შესწუხდებიან, რომ მეტი აღარ შეიძლება, თუ ამ ერთის წამის შეცთომამ, თქუენი მზრუნველობა და პატი-

ოსანი შრომა იმათს ოჯახს მოაკლდა. ჩემის მხრით, უფალო, მე ამ საღამოს, ჩემდა სასიქა-დულოდ, ნება შევიძინე, რომ იმათს თქჳენთან თხოვნას, გულითადი თხოვნაც დავმატო. ჩემი დიდიხნის სურვილი აღსრულდება ახლა, და საკუთარს ჩემს დავალებად მიგილებ რომ ახლანდელი ჩემი ბედნიერება არ დამიმწაროთ და არ ინებოთ განშო-რება; სამწუხაროც და საკვირველიც რომ იქნება ამ ოჯახისათჳს, რომელსაც ახლა მეც ვეკუთვნი.

—უფალო,—უთხარ მე,—მე არ შემიძლია გულითადი გრძნობა არ მოვიმდურნა, რასაც თქჳენ ქალების მაგიერათ და თქჳენის მხრითაც მიცხადებთ. იმედი მაქუს მომიტევებთ, რომ გადაწყვეტილს პასუხს ახლავე ვერ მოგცემთ, რადგან ცოტა უფრო თავისუფალი მოფიქრება უნდა ამასა და ეხლა იმ გუნებაზედ არა ვარ, რომ შევიძლო.

—ამისი ნება მაინც მიბოძეთ, რომ იმედი შევატყობინო. შემისრულეთ, კარგი გვაქუს და ბარემ აქვე მოვსპოთ მე და თქჳენ ყოველი მიზეზი, რაც ცოცხალნი გულის სიცივე და უთანხმოება ჩემსა და თქჳენში ყოფილა როდისმე. ჩემის მხრით მე ყოვლითური მოწადინებული ვახლავარ. ამასთან თუ მადამ ლაროვისასაც ვიცი, თუმცა

კი საიდუმლო არა გამოუცხადებიარა, რომ თქუენ ამ მდგომარეობაში ისეთის მიზეზებითა ბძანდებით რომ თქუენს მაღალს ღირსებას არა შეეხებარა, მერე გულითადი მადლობაცა მმართებს თქუენი, განსაკუთრებითად მე: მე რომ მადმუაზელ მარგერიტას ვისთუალობდი, თქუენ დაეკითხვან და თქუენც ჩემთჳს დიალ სასარგებლო აზრი მიეციათ.

— მე არა მგონია, უფალო, ღირსი ვიყო თქუენის მადლობისა...

— ოჰ! როგორ არა, როგორ არა! მართალია აჩქარებულად ქებით არ გაგესივართ, მაგრამ არც კი ვიმაგებივართ, ალვარებ, რომ თქუენი შორის მხედველობაც დაგიმტკიცებიათ. თქუენ გითქუამსთ,რომ თუ მადმუაზელ მარგერიტა ბედნიერი არ იქნა ჩემს ქალში უბედური მაინც არ იქნებაო. გარწმუნებთ, თჳთან დანიელ წინასწარმეტყუელი ვერ იტყოდა უკეთესსა. მართალი თუ გნებავთ ეს არის, რომ ეს სატრფო ქალი შეუმლებელია სწორეთ ბედნიერი იყოს ვისთანმე; ამიტომ რომ მთელს ქუეყანაში ვერ იპოვნის ისეთს ქმარსა, რომ დიდად მოკიდებული სა-

მომდინ სულ ლექსებითა და შაირებით ემუსაიფე-ბოდეს... ამისთანა კაცი არსად იქნება; ვერც მე ვარ ამისთანა; სწორედ უნდა ჰსთქვას კაცმა; მაგ-რამ, როგორც თქუენზე გიამბობიათ,—ბოროტი კაცი არავარ, არც გაუზრდელი ვარ, როდესაც უფრო კარგად გავიცნობთ ერთმანერთს, მაშინ უფრო დაიჯერებთ. არავარ ბოროტი; გული მარ-თლად კეთილი მაქვს. უნაკლულო ვინ იქნება, ნაკლულოვანება ჩემშიაც ბევრი არის, რასაკვირვე-ლია; აქამდისინკი უფრო ბევრი მქონდა;— ლამაზი ქალები მიყვარდა. ამას ვერ დავიფიცავ, მაგრამ რა? ეს უფრო იმას ამტკიცებს, რომ გული ლმობიერი მქონია; ახლა კარს ვადგევარ და მოსარულიცავარ... ჩვენში დარჩება ვიცი.... მაგრამ... ჩემი იმაც აშინებს ცოტა ყურის მო-ცუშლასა; მაშ აღარ მინდა ვიფიქრო ვიზედმე, თუ არ ჩემს ცოლსა და ჩემს მკლებზედ; გაით-ვდა; აქედამ ჰჩანს, თქუენც რომ გითქვამთ, რომ მადმუაზელ მარგერიტა ბედნიერი იქნება ჩემთან,—ისე ბედნიერი, როგორც კი შეიძლება, რომ იმისი ჭკუის პატრონი. ბედნიერი იყოს ვის-თანმე: იმისი სიამოვნებს მე ყოველთჳს ვიმეცადი-

ნება; უარს არაფერში გეტყვი: თითქმის გევედრები, რომ რასაც ისურვებს მე დაგასწრია სიკვდილს. სხვა რა გჭირს? რომ დაიცინის, მაშინვე ჭ ვარსკვლა-ვები ჩამოიღე ციდამა ჭ მომაგონე, ესეც არ შემიძლია. მამ ახლა, ჩემო საყვარელო მეგობარო ჭ ერთი ქალი კიდევ!

ქალი მისცა კიდევა ჭ აგერთი.

—მაშ ახლა, ახლა! მეგი მესმის, რომ დარჩე-ბით ჩემთან... გაისწორით ერთი ეგ ბუბლი, კარგია... ჩემს, რასაკვირველია, რაცკი შეიძლება, ღვეძებით გასიამოვნოთ, მაგრამ ოქროსნაკვი ცოტა ქალი უნდა გამოიღოთ... როგორ იქნება?... სულ აგრე ბოლოლოობა სამ არ შეიძლება... ოქროს აგრე დალოცვებით ყოფნა თითქო სასიამოვნოდ მიგაჩნდეთ... აგრე ბუნებით გამოყენება რა სიამ-ოვნეა! ნამდვილად უკაცრავად ჭ... ისპანიელს რომა ჭკვიანი, ალაღკი რომ საქმე არის, ისეის ის-პანიელსა!... აგრე როგორ იქნება, ჩემო უფალო! აგრეთი ეშმაკი კაცი, აგრეთი ფრიერი, ნიჭი-ერი! რად გარდა სულ აგრე გამოკეთილში ყოფნა, ცოტა უნდა მოისვენოთ. აჰ, მადლობად, ბატონო მადლობელი ჭკუისას რა უმანს,

რომ ცოცა კურკური გაუშალოთ? დროს მაინც გაგაცარებინებს... ძვარიანი ტოტოა და კარგათაც მოვა... მაგრამ მე რაღას ვანბობ გამომცვირებული! თითქო მავიწყდება, რომ აღარ მეთქმის მე ამისთანაები... ჰე! წავიდეთ, გამარჯვებით, მშჳდობით, ჩემო უფალო მაქსიმე! ხვალამდის, განა!

—დიაღ! ხვალამდის.

და ამ ზრდილმა კაცმა,—თჳთან რომ ისპანიელსა ჰგავს, ყოველგან რომ მრავალნი არიან, ისეთის ისპანიელსა,—დამანება როგორც იყო თავი და მიმანდო ჩემს ფიქრებს.

(დასასრული იხილეთ მაისის წიგნში.)

## ამაო ძებნა.

მაისის ღამე ბნელი თუალიანი
დილის განთიადს ესალმება
და ვარსკვლავთ კრება უხვ-სხივიანი,
გული დაწყვეტილი ცაზედა ჰქრება.
იწყო კაშკაში ცისკრის ვარსკვლავმან,
მთვარემ დაუთმო მას თვისი ბინა,
წყნარად დაჰქროლა დილის ნიავმან·
და სუნნელება ქუჩყნად მოჰფინა.
მამალთ ხმა მაღლა იწყეს ყვირილი,
მუშავთ აუწყეს მით გათენება,
აღიძრნენ ჩიტნი და ერთ-ხმად ტკბილი
გრძნობით ბუნებას შეასხეს ქება.
მშვენიერი ხარ მეტად ბუნება!
შენშიდ ცხადად სჩანს ღვთის ძლიერება!...
ნეტავ თუ იცის ღვთისა ქმნილება,
გჭვრეტდეს არ იგრძნობს მან ნეტარება?

— მაგრამ რას ვხედავ! აჰა ჭაბუკი,
რომელიც შენ ძუელს სრულიად არ გაგდებს,
ეშმესას და ისრავს, სცდის უბადრუკი
და წარსულის დროისა ოცნებით ებმებს!...
მის კლდეთ შეჰხლოვას, ჩასძახის ქშენს-
კნელს,
წყალისა მაჰყურის მსწრაფლი მიმავალისა,
მაგრამ ვერ ჰპოვებს ნუგეშის მცემელს
და უმრავლდება წყლული სიწყალისა!
მთანი და კლდენი სასხლის ყრჭუხნებენ
ქშენსკნელი ხავლიავს და მძლიებთ გამხმართა,
რომელნიც მძლავრად განისქუხნებენ,
თავ-ნამსხსქუხრამლიავთა მის წინაპართა.
საზარელი, ყოველ ამა პასუხით
საზრალოს გულში საშიში სდუღდება;
ისე მდინარეს მტირალისა ხმით
წარსულის დროს ანბავს ის ემღერება.
მაგრამ მდინარე ალქავებული
ქუშ მოაქანებს ას-წლოვანთ ხეთა,
მაღლმაღლ ფრთებით სცემს განრისხებული
და ჰსურს გაგლეჯა კლდოვანთ კიდეთა,
რომ მსწრაფლი მოჰრეცხოს მან სისხლი
მქუშლი
მის კიდეებზედ გადათხეული,

მაგრამ კიდეთა შეუძრეს ძელი
და მისთჳს არის აღელვებული.

მ. წერეთელი.

---

## დარიგება მოხუცისა.

---

სარკმლით ვუმზერდი დავაქრებული
ხესა მაღალსა მწვანეთ მოსილსა,
გარემოს მისა ტურფა ყვავილთა,
სხჳა და სხჳა ფერით გარემოცულსა!
ფოთოლნი მისნი მიმოქანობდენ,
ტურფა ყვავილნიც მას შეჰხაროდენ!
მის ჩრდილისა ქუეშე, ჯდა მდუმარედ
იჯდა სახითა განცვიფრებული, —
რაღაც სამწარეს გარემოებითა,
იყო ამაყად განრისხებული!
გულხელ დაკრეფით, თავქვე დაკიდებით,
უმზერდა ადგილს, ცრემლსა აფრქვევდა,
სული უშფოთდა, ჭმუნვარის სახით.
ზე იხედვდა ბერჭადრის წვერსა!
რა მივედი მასთან და მივესალმე,
შემოჰხედარა მითხრა მან ასე:
ვინახარ შვილო, აქ რისთჳს მოხველ

ანუ ვით ჰბედავ ამ ადგილის დახვალო?
აქ საფლავია იმა კაცისა,
რომელი იყო საყვარელი ღვთისა!
ვინ ხარ მამაო! მღვდელი თუ ბერი,
თუ ერის-კაცი, სითგან მოსული?
თუ საღმრთოს მადლით, განგებით ზეცით
შენ ქვეყნიერად ხარ ჩამოსული,
რათ ჰზიხარ აქა ნეტა რას ელი,
ნუთუ არ მოგწონს ესე სოფელი?
მოისმინარა ჩემგან ეს სიტყვა,
დიდისხნობითა აღარ გამცა ხმა,
შემდეგ ჭმუნვითა ამოიოხრა,
გული დამშვიდებით მან ასე მიიხრა:
აქ ვზივარ ვსტირი შვილო ამ დროსა,
სადღაა აბა ღვთის საყვარელი?
ვეღარა ვხედავ თქჳნში საღმრთოსა,
ეს მწუხარება მაქვს დაფარული!
და ამ ხეს ქვეშა დღე და ღამ ვჩივი,
ნაკადულის ვაფრქვევ ამა საფლავსა,
მე თვით ცოდვილი ჭამლიზედ ვწირი
როგორც ჩემს თავსა თქჳნსასაც ვსტირი!
მენუკევ ჩემსა ვინაობასა,
ნაცვლად გასწავლებ კეთილისა გზასა:
გამოიკვლიე განგების მადლი

ჰე აღასრულე შენ მისი გული!
უტევე, იჯმნე, ეშმაკთა კრება
ჰე იქონიე ზენათ ვედრება!
აროდეს იტყევ ჭა მამაო!
შენ შემიწყალე, შენ დამიფარე,
რადგანც საწუთრო არის ამაო
მართალთა შორის მეც შემიფარე!
ეკკლესიაში თუ ოდეს შეხვალ,
ვითა გრძნეული მაშინვე გახვალ!
სად ყრილობაა თვით ყუბადრუკთა
მიეშურები და მათთან წახვალ!
რატომ არ გესმის ის საღმრთო ძალი,
ქრისტიანე ხარ თუ იცი ვალი,
აბა იფიქრე ოდეს მუნ სდგებარ
თუ არ უსასყურს იმ დროს ვის ჰგევხარ?
აი! სავლოვი, შენც სჭვრეტ რომელსა,
მე გამაგონებს კეთილის ყოველსა!
მისი სიწმინდე, მისა ქველობა,
კეთილობაზედ მარად მსჯელობა!
გლახაკთ მოწყალე, მოყვასთ მოყვარე.
დიდი მლოცავი დავრდომილთ შეწე.
მარქუ გულ-წრფელობით, რათ არ მორ-
ჩილობ,
კრებისა კანონს შენ რათა ჰსწყნობ?

მითხარ რათ არღვევ დიდსა მცნებასა,
რათ არ აღასრულებ წმინდათ ნებასა?
ზე გაქონდეს გული მადლობდე უფალს,
თუ უძლოურიხარ იგი მოგცემს ძალს,
და თუ გულითა მას არ ადიდებ,
ვეროდეს სულსა ვერ დაიმშჳდებ!
სოფლის ცხოვრება მოთლიად დაინგრევა,
მიწა მიწადვე გარდაიქცევა,
და თუ დაიცევ მტკიცედ შენ მცნება
მაშინ ექნება სულს განსვენება!
მებრალვი შვილო! ხარ შესაწყალი,
ოდეს მოგერტყმის სასტიკი ბრჭყალი,
მაშინ თჳთ იტყჳ: ვაჲ ჩემი ბრალი!
მარამ როდისლა, მაშინ შრომანი,
მაშინ ვედრება და ლალადება,
როს იქმნა შენზედ გულის წყრომანი
ვეთილი ვითლა დაიბადება!
მაშ ასე გირჩევ მოევე გონსა,
ნუ დაივიწყებ ლოცვას სამღრთოსა!
აღასრულებდე კანონსა მტკიცედ,
როგორც ემბაზით ჩუენ მას შევფიცეთ!
ნუ უყოფ ბოროტს შენსა მოყუასსა,
ნუ დააყვედრებ ჩემებრ მწირ კაცსა,
რომ, მე შენზედა ვარ დიდებული,

ღირსებით, ფუძლით ყველგან ქებული!
განჰქრების ყველა ამა სოფლისა,
მხოლოდ წინ გვიძღვის კეთილი საქმე,
აბა რა გვახსოვს ამდენის წლისა
ანუ შენ შვილო და ანუ ქა—მე?!!

დიმ. ბერიევი.

10 აგვისტოს. 1859 წელსა,

---

## სამშობლო ენისადმი.

---

სამშობლო ენავ, რათ მოგვეფარე?
რათ დაგვაობლე, რათ არ გვემყარე?
აკი აცკობდი ივერთა ადრე?
ახლა რა გვცოდეთ?... რო გაგვეყარე!...
რათ მირბი მალვზე, ზურგ შემოქცევით?
სამშობლო ენავ, გულ შემფოთებით!
იქნება ჰსწუხდე, ჩუენ გვერდსა ყოფნით
და მისთვის იყო შენ მორისხანებით?...
მართლა! ოს! ჟამთა გარემოებამ;
გული მოგიწყლა, გიპყრა მით სევდამ
მაგრამ ნუ გვრისხავ,—გვიჩვევა ზენამ
და ბევრხანს გვჩაგრა, ბედისა წერამ!...

ნუ განვეშორდებით, ვედრით ყოველნი;
დიდნი, თუ მცირე, შენნი ქართველნი;
მოვესხდეთ აბა! ვით სუსტნი ქალნი,
შენდა გვაქვს გარისხულ, ვართ მუხლით დადგმულნი
ვაკმარე წყრომა, გული იბრუნე;
ლიმილით მოვედ ყრმათ მოეალერსენე,
თავსაზედ ჩვენსა მადლი მოჰფინე;
ჩვეულებრ დაფნით დაგვაგვირგვინე!..
ვიცით ცხადათა, რომ ჩვენ არ მალევმს,
კვლავ აღდგინება, იმ ნეტარის დღის,
როს შოთა, შავთელ, ჩანგი ჩახრუხის,
შეადგინებდენ სამკაულს ენის!...
მარამ მაინც ჰქვისთვის, ცრემლით ივერნი,
სამშობლო ენავ, ჰკურნო ეს სენი,
რომლითა დღემდე, ვით უზრუნველნი,
გულს ვიწუხებდით, ღრმათ მძინარენი!...

25 ოკტომბერს. 1859 წელს.
ქ. ტფილისს.

ი. ზერიძე.

## ქართველი ქალები.

### ისტორიული მიმოხილვა.

---

ამ წლის «ცისკრის» პირველს ნომერში დაბეჭდილია რედაქტორთან წარმოგზავნილი წიგნი, რომელსაც ეწოდება «გარკვევა» და რომელიც ეკუთვნის კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას. რასაკვირველია, ჩვენმა საზოგადოებამ ამ წიგნს თავისს დროზედვე შესაფერი ყურადღება მიაქცია. ეს კიდევ არაფერი, რომ მთხზველი არის დედათ სქესისა. ქართველი ქალები სხვანიც არიან «ცისკრის» თანამშრომელნი. ღირსება «გარკვევისა» სძევს თჳთ იმისს საგანში... «გარკვევა» არის დაწერილი სასიამოვნოს საუბრის ენით; აზრები გამოხატული ცხადად და აღბეჭდილი

ნამდვილის დედობრივის გრძნობით. ჰსჩანს, კნეინა ჟორჟაძისა ცნობის მოყვარეა, კითხვაში და მწერლობაში დახელოვნებული. ჰსჩანს, სამამულო ენისა და სიტყვიერების წარმატება გულითა სურს. პატივს საცემი ავტორი თავისს «გარკვევაში» არღვევს ყუარდაზიანის კრიტიკას, რომელიცა ვითომც ის აღკრძალავს ლექსების საჭიროებას. თავისის სიტყვას დასამტკიცებლად ბუნებითს წესს იხსენიებს, რომელსაცა ადამიანში სხვა და სხვა ნიჭი დაუნერგია. კნ. ჟორჟაძისა ჰშიშობს, რომ ამ გვარმა უსაფუძვლო და აჩქარებულმა კრიტიკამ ახლად დაწესებული საქმე არ დაამციროს. ამას გარდა ისტორიისაკენაც მოაქცევს ჩვენს ყურადღებასა და მოიხსენებს ძველიადგანს საქართველოს მეცადინეობას, სიბრძნეს და ხელოვნებასა. თუმცა ჩვენი მამული დიდს გაჭირვებაში და აღრეულებაში ყოფილა და, იმისს შვილებს არა ჰქონიათ არც ლიცეები, არც უნივერსიტეტები და არც ენების ცოდნა: «საქართველოს ხალხნი არიან ზნეობით სრულნი და ჰცით მხოლოდ ერთი ანბანი... ეს ანბანი არის საღმრთო წერილით.» აქ ავტორი

გვრწმენს, რა სარგებლობა გამოგვაქვს საღმრთო წერილის ცოდნითა: ეს სარგებლობა არის — მითვისება ჭეშმარიტებისა, დაწესება სჯულისა, მშვენიერება ქრისტიანობისა, დამარხვა მცნებათა, სიყვარული მოყვასისა და პატიოსნება. ამ ანბანის ცოდნას უმეტესად ქალნი ეტანებოდნენ.

უკანასკნელის სიტყვისა ჭეშმარიტებას ჩვენ სრულებით აღვარებთ. საღმრთო წერილის ცოდნას გარდა, სხვა მრავალი ღირსებაც შეამკობდა საქართველოს ასულთა. იმათი თვისება გარეგანი და ზნეობითი, იმათი მშვენიერება მოქალაქეობითი, იმათი განთქმულობა უცხოს ქვეყნებში — დიდ შესანიშნავია ყოველივე, თუმცა ჩვენ კი ჯერ კარგად არა გვაქვს დახსენებული. ამ საგანზედ ჩვენს დროში საკმაო ცნობადება ჯერ არც ერთს მწერალს არ მოუყვანია, (*) და ამიტომ საჭიროთ ვხედით მოკლედ გამო-

---

(*) აქ ერთი ბოდიში უნდა მოვიხსენოთ ამ მეცნიერის მამასახლისის ავტორთან და ნაკლულოვანების შესამჩნევლადაც არა, ამ ყოვლად ღირსეულის შრომის შესაფასებლად მოვიხსენოთ, რომ

გვირჩევნოთ. იმედი გვაქუს «ცისკრის» მკით-ხუელნი კმაყოფილნი დარჩნენ.—

აზიასა და ევროპას მცხოვრებთაგან საქარ-თუელოს ძუელთაგანვე ცნობილი ქალითა და

---

თუ მარდენისაგან ქართუელი ქალების ქება, თუ-თან ავტორს რომ დიდი მოჰყავს, ჩუენის დროე-ბაზედ არ ჩაითულება,— ჩუენს დრომიაც არის სასიქადულოდ გამოსაცემელი: 1854-ის «კავ-კაზში» იყო დაბეჭდილი რუსული თხზულება უფ. დიმიტრი ყიფიანისა, სახელწოდებული ესრედ: **Нѣсколько мыслей о матеріалахъ для исторіи Грузіи.»** — ამ თხზულებით შემდეგომს გან-ხილვაში შედის უფ. ყიფიანი:

1. რა ზომად დასაკლოვნებულა სასულიერო განათლება ხალხისა?

2. საერო განათლება როგორი ჰსჩანს?

3. მწიგნობრობა, თუ ლიტერატურა როგორი ყოფილა?

4. რა და რა საზღვრები ჰქონია ქართუელთ ქუეყანასა, როგორც უმეტესს ძლიერებაში, ისე უძლურებაში.

და 5. რა და რა ქუეყნებამდინ მიუწევიათ ქართველებსა, თავისს სამეფოს გარეთ, ომიანო-

ბეცთ შეწნებით. რა არის ამის მიზეზი? — ჰავა და გეოგრაფიული მდებარეობა ადგილისა, რომელნიც ბევრით განასხვავებენ საქართჳელოს სხვა ქჳეყნებისაგან, და რომელნიც

---

ბით თუ საგანგრო ალებმიცემობით.—

თითქმის სიტყვა-სიტყვით ვჰსთარგმნით ასლა რაც რამ ახსნილი მეორე კითხვაზედ დაუწერია უფ. ყიფიანს.

«რადგან საქართჳელო ხშირად ექჳემდებარებოდა, სიმორით თუ სისხლოზით, — ხანგრძლივით თუ ხან‿მოკლეობით, — ზერსუშტის (ზოროასტრის) მოძღჳრებასა, — და უმეტესად მძლეველთ მუსულმანების ზნეობასა და ჩვეულებასა, — უეჭჳელია რომ ქართჳელების საზოგადოების ცხოვრებასაცა და ერთმანეთში დამოკიდებულებასაც აუცილებლად უნდა დასჩნევიყო კვალი უცხო თესლთაგან მფლობელობისა. არ იქნებოდა არ დარჩენილიყო და დარჩებოდა მარტო ეს კვალი უცხო ქჳეყნებიდამ შემოსულის უფლებისა. უმთავრესი და უნამეტნავესად გავრცელებული აქაურის ზნეობის დასაწყისი კი ის თვისება არის მხუფევი, თჳთან რომ ბუნების წესით უნდა შემდგარიყო ამ გამარტოებულსა და გაცალკევებულს საქრისტიანო ქჳეყა-

იმოქმედებენ ადამიანის აგებულებაზედ და ხასიათზედ, ხალხის წესდებულებაზედ და თვით ისტორიულს მოძრაობაზედაც? ეს აზრი ახლა საზოგადოდ არის მიღებული და ჭეშ-

